



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო
უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

სტუდენტი

თორნიკე მაზმიშვილი

ახალი ტერორიზმის ფაქტორი ევროატლანტიკურ

სისტემაში და მოსალოდნელი გამოწვევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მასიაია
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი - 2021

ანოტაცია

21-ე საუკუნეში გლობალურ პოლიტიკაში გაიზარდა საფრთხეების და გამოწვევების რაოდენობა. საერთაშორისო საზოგადოებას უწევს ისეთ საფრთხეებთან ბრძოლა, როგორცაა საერთაშორისო ტერორიზმი, კიბერ დანაშაული და კიბერტერორიზმი, კრიმინალური დაჯგუფებები, მეკობრეობა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ა.შ. ამ გამოწვევებთან ბრძოლა უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს, რეგიონალურ თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი ამოცანა. თანამედროვე პერიოდში ტერორიზმი საკმაოდ ცვალებადი, მათ შორის არაპროგნოზირებადი და მზარდია, რაც ართულებს მასთან ბრძოლას. ნატო საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, აღნიშნულ პროცესში აქტიურად თანამშრომლობს თავის პარტნიორი ქვეყნებთან და საერთაშორისო თუ რეგიონალურ ორგანიზაციებთან.

მოცემულ ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ნატოს როლი ახალი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. მათ შორის ყურადღება გამახვილებულია ნატოს კონტრტერორისტულ სტრატეგიაზე და მიდგომებზე ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. თანამედროვე პერიოდში ევროატლანტიკური უსაფრთხოების წინაშე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ახალი ტერორიზმი, რომელმაც განიცადა გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია და დღეისთვის ევროატლანტიკური უსაფრთხოებას მრავალი რისკის და გამოწვევის წინაშე აყენებს. ნატოს პოლიტიკა საკმაოდ მკაფიოა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში, მას გამართული მიდგომები და სტრატეგია გააჩნია, რაც ალიანსის წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებას ეფექტურად უზრუნველყოფს.

Annotation

The New Terrorism Factor in the Euro-Atlantic System and expected challenges

The number of dangers and challenges in global politics has increased in the 21st century. The international community has to deal with many threats. For example, such as international terrorism, cybercrime, cyberterrorism, criminal gangs, piracy, proliferation of weapons of mass destruction, etc. It must be said that combating these challenges should be the main task of every state, regional or international organization. 21st Century Terrorism is quite changeable, unpredictable and growing, which makes it really difficult to fight it. It is clear that NATO is playing a significant role in the fight against terrorism. In this process, it actively cooperates with its partner countries and international or regional organizations.

Also, in this paper we have tried to present the role of NATO In the fight against the new terrorism. Among them is a focus on NATO's counterterrorism strategy. And also approaches to combating terrorism. One of the major problems facing Euro-Atlantic security in modern times is the new terrorism that has undergone a geopolitical transformation. All of this poses many risks and challenges to Euro-Atlantic security today. NATO's policy on combating terrorism is quite clear. He has the right approaches and strategy. All this really ensures the security of the member states of the Alliance effectively.

Thornike Mazmishvili

სარჩევი

ანოტაცია.....	2
Annotation.....	3
შესავალი.....	4
თავი I. ახალი ტერორიზმი, როგორც დიდი გამოწვევა მსოფლიო უსაფრთხოების კონტექსტში.....	10
1.1 ტერორიზმის დეფინიცია და ჩამოაყალიბების ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები.....	10
1.2 ტერორიზმის პოლიტიკური და სამხედრო ასიმეტრიული ასპექტები.....	21
1.3 ისლამური სახალიფო ხალიფატი „დაიში“ – ახალი ტერორიზმის აქტორი.....	26
თავი II. ნატო-ს უსაფრთხოების კონცეპტუალური მიდგომები ახალ ტერორიზმთან მიმართებაში.....	39
2.1 ნატო – ს კონტრტერორისტული სტრატეგია.....	39
2.2 ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო კოალიციური ორგანიზაციებისათვის.....	54
თავი III. ევროატლანტიკური უსაფრთხოების დილემა ახალი ტერორიზმის კონტექსტში.....	59
3.1 ევროატლანტიკური უსაფრთხოების პრობლემა, ტერორიზმის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის ფონზე.....	59
3.2 საქართველოს როლი ახალი ტერორიზმის დაძლევის საკითხში	62
3.3 საქართველოს პარტნიორობა ალიანსებთან.....	65
დასკვნა.....	73
გამოყენებული ლიტერატურა.....	76

შესავალი

თანამედროვე სამყაროში საერთაშორისო საზოგადოებას მრავალი საფრთხის წინააღმდეგ უწევს ბრძოლა, რომელიც სულ უფრო მზადრი ხდება. თავს იჩენს ახალი საფრთხეები და არსებული საფრთხეები განიცდის ტრანსფორმაციას, რაც მათ უფრო საშიშს ხდის. ტერორიზმი საუკუნეების განმავლობა კაცობრიობისთვის წარმოადგენდა მძიმე სენს, რომლის დაძლევა მენ ვერ შეძლო და მომავალშიც რთულად სათქმელია თუ რამდენად შეძლებს ტერორიზმის დამარცხებას თუ მსოფლიო ერთიან არ იქნება ამ საკითხთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ყველა სახელმწიფომ თვასი როლი და წვლილი შეიტანოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, რომელშიც უნდა იყვნენ ჩართული, ასევე რეგიონალური ორგანიზაციები საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთ, რომელთა გარეშეც შეუძლებელია გარკვეული წინსვლის მიღწევა ტერორიზმის აღმოფხვრის და დამარცხების საქმეში.

თემის აქტუალობა - XXI საუკუნეში გლობალური ცვლილებებისა და ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში, უდიდეს პრობლემად და გამოწვევად მიიჩნევა ტერორიზმი მისი გამოვლინებისა და ფორმების მიხედვით, რადგან ის წარმოადგენს რეგიონალურ, სუბრეგიონალურ კონტინენტალურ სამხედრო საფრთხეს და მისი გავრცელების არეალი განუსაზღვრელია გეოგრაფიული თუ ეთნიკური პარამეტრებით. 21-ე საუკუნეში გლობალიზაციის პერიოდში როდესაც ახალი ტერორიზმი ასე განვითარდა და საფრთხეებმა იმატა, შესაბამისად ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რადგან ალიანსს უწევს ახალი ტერორიზმისგან მომავალი საფრთხეების გამკლავება და ალიანსის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა. ტერორისტული საქმიანობა ყოველთვის გამოიყენებოდა, როგორც უკანონო, მაგრამ „ეფექტური“ საშუალება სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების გადასაჭრელად. დღევანდელ დღეს იგი წარმოადგენს საკმაოდ აქტუალურ საკითხს საერთაშორისო უსაფრთხოებაში და სერიოზულ პრობლემას უქმნის

მას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის გზების ძიებაც თავსატეხად ექცა მრავალ სახელმწიფოს.

თემის მიზნები და ამოცანები

ჩვენი კვლევის მიზანია:

- ახალი ტერორიზმის ფენომენის შესწავლა და მისი გამომწვევი მიზეზების გაანალიზება.
- მნიშვნელოვანია თუ რა გავლენას ახდენს ალიანსის უსაფრთხოებაზე ახალი ტერორიზმის ფენომენი და რამდენად შესწევს მას უნარი გაუმკლავდეს ახალ საფრთხეებს.

ჩვენი ამოცანაა:

- განვსაზღვროთ რეალურად თუ რა საფრთხეებს უქმნის ახალი ტერორიზმი მსოფლიოს და გამოვყოთ მასთან ბრძოლის მექანიზმები.
- ასევე წარმოვაჩინოთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლი და ფუნქცია გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში.

საკვლევი კითხვები

- რა გავლენას ახდენს ახალი ტერორიზმი ნატოს უსაფრთხოების გარემოზე?
- რა მიდგომები და ინსტრუმენტები გააჩნია ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს ახალ ტერორიზმთან ბრძოლაში?
- ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს რამდენად შეუძლია დაიცვას ახალი ტერორიზმისგან ალიანსის უსაფრთხოება?

ჰიპოთეზა

ნატოს უსაფრთხოების გარემოსთვის საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენს ახალი ტერორიზმი და ის ასუსტებს მის უსაფრთხოებას რადგან ახალი ტერორიზმი მოიცავს ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებს და ტაქტიკას. ნატო თანამედროვე პერიოდში მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას ალიანსის უსაფრთხოება იმ გამოწვევებიდან გამომდინარე რაც მის წინაშე არსებობს და

მომავალშია მოსალოდნელი. ნატოს შესწევს უნარი დაიცვას ალიანსის წევრების უსაფრთხოება ახალი ტერორიზმისგან.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანი: ნატოს თანამედროვე მიდგომები ტერორიზმთან ბრძოლაში.

კვლევის ობიექტი: ახალი ტერორიზმის ფენომენი და გამოწვევები ნატოსთვის.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია „უსაფრთხოების დილემა“, „ძალთა ბალანსის თეორია“ ნეორეალიზმისა და პოლიტიკური რეალიზმის სკოლის თეორიები, რომელიც საშუალებას გვაძლევს უკეთესად გავანალიზოთ კონფლიქტის არსი და მისი მოგვარების პერსპექტივები. „ურთიერთდამოკიდებულების თეორია“, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევებს ეხება. სოციალური კონსტრუქცივიზმის და კრიტიკული თეორია.

კვლევის მეთოდები

კვლევის დამუშავების დროს გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები:

- ისტორიულ-აღწერილობითი,
- მონაცემთა ანალიზი,
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი,
- კონტენტ ანალიზი.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

შევეცადეთ შეძლებისდაგვარად, მასალებიდან გამომდინარე შეგვექმნა აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს. სასურველია, ჩვენს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგეთ ტერორიზმით და ნატოს საკითხების კვლევებით დაინტერესებულ

პირებს. ის შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

კვლევის მოსალოდნელი შედეგების განხილვა

ჩვენს მიერ არჩეულ სამაგისტრო თემაში ყურადღება გვაქვს გავამახვილებული იმ ძირითად პრობლემატურ საკითხებზე, რასაც უქმნის ახალი ტერორიზმი გლობალურ უსაფრთხოებას და ძირითადად ნატოს უსაფრთხოების კონტექსტს. ასევე წინა პლანზე უნდა გამოვიტანოთ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელიც ხელს უშლის ან უწყობს ტერორიზმის აღმოცენებას და დამარცხებას. ნატოსთვის მნიშვნელოვანია მსოფლიოში სტაბილური ურთიერთობების შენარჩუნებას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ უსაფრთხოებაზე. რაც მთავარია ნაშრომში საკვანძო საკითხი არის, ასევე ტერორიზმთან დაკავშირებული გამოწვევები და მასთან ბრძოლის საკითხი. ჩვენ შევეცადეთ ყველა ამ საფრთხის განსაზღვრა და სტრუქტურულად ახალი მოდელის ჩამოყალიბება ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

გუგული მადრაძე, ვახტანგ მაისია „21– საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა „უნივერსალი“ , თბილისი, 2017 წელი – წიგნში განხილულია უსაფრთხოების პრობლემები გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით. მოგეხებათ, რომ მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით გეოპოლიტიკური პროცესების შეფასებას და მათ სამხედრო პოლიტიკურ ანალიზს უდიდესი როლი ენიჭება, ეს კი დღესდღეობით მთავარ ქვაკუთხედია მსოფლიო პოლიტიკური სისტემებისათვის. აქვე მოყვანილია ის მთავარი სექტორები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის უსაფრთხოებაზე, ნაშრომში დეტალურად არის განხილული:

სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ეკოლოგიური და საინფორმაციო უსაფრთხოება.

გიორგი სანიკიძე, კილურაძე ნინო. „ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“, გამომცემლობა - თბილისი : მერიდიანი, 2001. წიგნში განხილულია თეორიები საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათის შესახებ, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციის საკითხები, საერთაშორისო უსაფრთხოება ცივი ომის შემდგომ პერიოდში, საერთაშორისო რეჟიმები, საერთაშორისო ორგანიზაციები თანამედროვე საერთაშორისო 21 ურთიერთობების სისტემაში, ტრანსნაციონალური აქტორები გლობალურ პოლიტიკაში და სახელმწიფოთა სუვერენობა და ჰუმანიტარული ინტერვენცია გლობალიზაციის ეპოქაში. გარდა ამისა, ავტორები განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორცაა რეგიონალიზმი და ინტეგრაცია, ნაციონალიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში და კულტურული კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში (დასავლეთი და ისლამი).

Troy S. Thomas and William D. Casebeer „Violent Systems: Defeating Terrorists, Insurgents and Other Non-State Adversaries“, INSS Occasioanl Paper 52, USAF Academy, Colorado, 2004 - ნაშრომში კარგად არის წარმოჩენილი იმ პროცესების ანალიზი, რომელიც შეიქმნა 9/11 ტრაგიკული მოვლენის შედეგად და რამდენად შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკის დინამიკა და გახდა უფრო მეტად აქტუალური ახალი განზომილების ე.წ. „აგრესიული არასახელმწიფოებრივი აქტორების“ ფაქტორი ამ პროცესებში. ფაქტობრივად, უკვე ამ მოვლენების შედეგად, ომის და მშვიდობის საკითხები დაისვა განსხვავებულ ფორმატში და საერთაშორისო ურთიერთობები გადავიდა ახალი სახის ფორმაციაში, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა და ახალი იდენტიფიკაცია წარმოჩინდა ე.წ. „გლობალური უსაფრთხოების“ ფენომენი.

თავი I. ახალი ტერორიზმი, როგორც დიდი გამოწვევა მსოფლიო უსაფრთხოების კონტექსტში

1.1 ტერორიზმის დეფინიცია და ჩამოაყალიბების ისტორიულ- პოლიტიკური ასპექტები

არსებობს ტერორისტული ქმედებების ტიპების განსაზღვრის სხვადასხვა მცდელობები. თუმცა, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ არსებობს მრავალი სახის ტერორისტული მოძრაობა და ვერც ერთი თეორია ვერ შეძლებს ყველა მათგანის დაფარვას. მრავალფეროვანია არა მხოლოდ ტერორიზმში ჩართული ჯგუფების მიზნები, წევრები, რწმენები და რესურსები, არამედ მათი კამპანიების პოლიტიკური კონტექსტებიც. ერთი პოპულარული ტიპოლოგია განსაზღვრავს ტერორიზმის სამ ფართო კლასს: რევოლუციური, სუბრევოლუციური და დამკვიდრებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტიპოლოგია გააკრიტიკეს, როგორც არასრული, იგი იძლევა ტერორისტული ქმედებების გაგებისა და შეფასების გამოსადეგ ჩარჩოს.

რევოლუციური ტერორიზმი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ამ ტიპის ტერორიზმის განმხორციელებლები ცდილობენ პოლიტიკური სისტემის სრულ გაუქმებას და მის შეცვლას ახალი სტრუქტურებით. ასეთი საქმიანობის თანამედროვე შემთხვევები მოიცავს იტალიის წითელი ბრიგადების, გერმანიის წითელი არმიის ფრაქციის (ბაადერ-მაინჰოფის ბანდა), ბასკური სეპარატისტული დაჯგუფების ETA- ს, პერუს მანათობელ ბილიკს (Sendero Luminoso) და ISIL- ის (ისლამური სახელმწიფო ერაყსა და ლევანტში; ასევე ცნობილია როგორც ისლამური სახელმწიფო ერაყსა და სირიაში [ISIS]) კამპანიებს. სუბრევოლუციური ტერორიზმი ნაკლებად გავრცელებულია. იგი გამოიყენება არა არსებული რეჟიმის დამხობისთვის, არამედ არსებული სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის მოდიფიკაციისთვის. რადგან ეს ცვლილებები ხშირად ხორციელდება არსებული რეჟიმის გადაყენების

საფრთხის შედეგად, სუბრევოლუციური ჯგუფების ამოცნობა გარკვეულწილად უფრო რთულია. ამის მაგალითია ANC და მისი კამპანია სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის დასრულების მიზნით.¹

დამკვიდრებული ტერორიზმი, რომელსაც ხშირად სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ტერორიზმს უწოდებენ, გამოიყენება მთავრობების, ან უფრო ხშირად ფრაქციების მიერ მთავრობებში - ამ მთავრობის მოქალაქეების წინააღმდეგ, მთავრობის შიგნით არსებული ფრაქციების წინააღმდეგ, ან უცხოური მთავრობების ან ჯგუფების წინააღმდეგ. ამ ტიპის ტერორიზმი ძალზე გავრცელებულია, მაგრამ ძნელად ამოსაცნობია, ძირითადად იმიტომ, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერა ყოველთვის ფარულია. საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირეები სავარაუდოდ ეწეოდნენ საერთაშორისო ტერორიზმის ფართო მხარდაჭერას ცივი ომის დროს; გასული საუკუნის 80-იან წლებში შეერთებული შტატები მხარს უჭერდა მემბოხე ჯგუფებს აფრიკაში, რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობდნენ ტერორისტულ აქტებში, როგორცაა UNITA (ანგოლას სრული დამოუკიდებლობის ეროვნული კავშირი); და სავარაუდოდ, სხვადასხვა მუსლიმურმა ქვეყნებმა (მაგ., ირანი და სირია) ლოჯისტიკური და ფინანსური დახმარება გაუწიეს ისლამურ რევოლუციურ ჯგუფებს, რომლებიც მე -20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ისრაელის, შეერთებული შტატების და ზოგიერთი მუსლიმური ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. იოსებ სტალინი საბჭოთა კავშირში და სადამ ჰუსეინი ერაყში არიან იმ ქვეყნების მაგალითები, სადაც მთავრობის ერთი ორგანო - ხშირად აღმასრულებელი ხელისუფლება ან დაზვერვის დაწესებულება - ჩართულია ფართო ტერორში არა მხოლოდ მოსახლეობის, არამედ მთავრობის სხვა ორგანოების, მათ შორის სამხედროების წინააღმდეგ. დამკვიდრებული ტერორიზმის ყველა ფორმის ელემენტი, განსხვავებით არასახელმწიფო ტერორიზმისა, საიდუმლოებაა.

¹ John Philip Jenkins, „Types of terrorism“, Britannica 2021. P.1. <https://www.britannica.com/topic/Direct-Action> (ბოლო ნახვა -1.06.2021)

სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობენ უარყონ თავიანთი აქტიური თანამონაწილეობა ამ ქმედებებში, როგორც საერთაშორისო გაკიცხვის თავიდან ასაცილებლად, ისე პოლიტიკური და სამხედრო ანგარიშსწორების თავიდან ასაცილებლად, იმათ მხრიდან, ვინც მიზანში ჰყავთ ამოღებული. ტერორს იყენებდნენ სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები ისტორიის განმავლობაში, მთელ მსოფლიოში. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტი (დაახ. ძვ. წ. 431– 350 წწ.) წერდა მტრის მოსახლეობის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის ეფექტურობის შესახებ. რომაელი იმპერატორები, როგორცაა ტიბერიუსი (მეფობდა ახ. წ. 14-37 წწ) და კალიგულა (მეფობდა ახ. წ. 37–41 წწ) იყენებდნენ განდევნას, ქონების ექსპროპრიაციას და სიკვდილით დასჯას, როგორც მათი მმართველობისადმი წინააღმდეგობის მოსპობის საშუალებებს. ადრეული ტერორის ყველაზე გავრცელებული მაგალითი არის ებრაელი ზელოტების საქმიანობა, ხშირად ცნობილი, როგორც სიკარი (ებრაულად: „ხანჯლები“), რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს რომის ხელისუფლებასთან შეთქმულებაში ეჭვმიტანილ ებრაელებს. ანალოგიურად, რობესპიერმა საფრანგეთის რევოლუციის დროს ღიად დაუჭირა მხარი ტერორის გამოყენებას და ესპანურმა ინკვიზიციამ გამოიყენა თვითნებური დაპატიმრება, წამება და სიკვდილით დასჯა, რაც დანახული იყო, როგორც რელიგიური ერესი.²

ამერიკის სამოქალაქო ომის შემდეგ (1861–65), დამარცხებულმა სამხრეთელებმა შექმნეს კუ კლუქს კლანი რეკონსტრუქციის (1865–77) მომხრეების და ახლად განთავისუფლებული ყოფილი მონების დასაშინებლად. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ანარქიზმის მიმდევრებმა, რომლებიც თვლიდნენ, რომ რევოლუციური პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების განხორციელების საუკეთესო გზა იყო ხელისუფლების თანამდებობებზე მყოფი პირების მკვლელობა, ტერორი შეიტანეს დასავლეთ ევროპაში, რუსეთსა და შეერთებულ შტატებში. 1865 წლიდან 1905 წლამდე არაერთი მეფე,

² John Philip Jenkins, „Types of terrorism“, Britannica 2021. P.1. <https://www.britannica.com/topic/Direct-Action> (ბოლო ნახვა -1.06.2021)

პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრი და მთავრობის სხვა ოფიციალური პირი იქნა მოკლული ანარქისტების მიერ იარაღით ან ბომბებით.

მე-20 საუკუნეში დიდი ცვლილებები განხორციელდა ტერორის გამოყენებასა და პრაქტიკაში. ეს გახდა მთელი რიგი პოლიტიკური მოძრაობების განმასხვავებელი ნიშანი, რომლებიც გავრცელებული იყო პოლიტიკური სპექტრის უკიდურესი მემარჯვენე ფრთიდან უკიდურეს მემარცხენე ფრთამდე. ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, როგორებიცაა ავტომატური იარაღი და კომპაქტური, ელექტრონული ასაფეთქებელი ნივთიერებები, ტერორისტებს ახალი მობილობა და ლეტალობა მისცა, ხოლო საჰაერო მიმოსვლის ზრდამ ახალი მეთოდები და შესაძლებლობები შექმნა. ტერორიზმი პრაქტიკულად ოფიციალური პოლიტიკა იყო ტოტალიტარულ სახელმწიფოებში, როგორიცაა ნაცისტური გერმანია ადოლფ ჰიტლერის დროს და საბჭოთა კავშირი სტალინის დროს. ამ ქვეყნებში დაპატიმრება, წამება და სიკვდილით დასჯა განხორციელდა სამართლებრივი მითითებებისა და შეზღუდვების გარეშე, შიშის კლიმატის შესაქმნელად და ეროვნული იდეოლოგიისა და სახელმწიფოს დეკლარირებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მიზნების ერთგულების უზრუნველსაყოფად.

ტერორი გამოიყენა ერთმა ან ორივე მხარემ ანტიკოლონიურ კონფლიქტებში (მაგ., ირლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის, ალჟირსა და საფრანგეთს შორის, და ვიეტნამსა და საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს შორის), სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფებს შორის დავაში სამშობლოს ფლობის გამო (მაგ., პალესტინელებსა და ისრაელებს შორის), სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებს შორის კონფლიქტში (მაგ., რომის კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის ჩრდილოეთ ირლანდიაში) და რევოლუციურ ძალებსა და მთავრობებს შორის შიდა კონფლიქტებში (მაგ. ყოფილი იუგოსლავიის მემკვიდრე ქვეყნებს შორის, ინდონეზია, ფილიპინები, ნიკარაგუა, სალვადორი და პერუ). მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი ყველაზე ექსტრემალური და დესტრუქციული ორგანიზაცია, რომლებიც ტერორიზმში მონაწილეობდნენ, ფუნდამენტალისტურ რელიგიურ იდეოლოგიას ფლობდა (მაგალითად, ჰამასი

და ალ-ქაიდა). ზოგიერთმა ჯგუფმა, მათ შორის ტამილ ელამის განმათავისუფლებელმა ვეფხვებმა და ჰამასმა, გამოიყენეს თვითმკვლელი ბომბების ტაქტიკა, რომლის დროსაც დამნაშავეები ცდილობდნენ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური ან სიმბოლური სამიზნის განადგურებას თავიანთ სხეულზე დამაგრებული ბომბის აფეთქებით.

მე-20 საუკუნის ბოლო ნახევარში ტერორისტული ტაქტიკის ყველაზე ცნობილი ჯგუფები იყვნენ წითელი არმიის ფრაქცია, იაპონიის წითელი არმია, წითელი ბრიგადები, პუერტორიკოელი FALN, ფატაჰი და პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციასთან (PLO) დაკავშირებული სხვა ჯგუფები, მანათობელი გზა და განმათავისუფლებელი ვეფხვები.

21-ე საუკუნის დასაწყისში ყველაზე ცნობილი ჯგუფები იყვნენ ალ-ქაიდა, თალიბების აჯანყება ავღანეთში და ISIL-ი. გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა ყველაზე სასიკვდილო თავდასხმები ამერიკის მიწაზე, მათ შორის 1993 წელს ნიუ იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის დაბომბვა და ორი წლის შემდეგ ოკლაჰომას დაბომბვა, რის შედეგადაც 168 ადამიანი დაიღუპა. გარდა ამისა, მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერაქტი აშშ-ს მთავრობის სამიზნეებზე საზღვარგარეთ, მათ შორის საუდის არაბეთის სამხედრო ბაზებზე (1996) და კენიასა და ტანზანიაში აშშ საელჩოებზე (1998). 2000 წელს თვითმკვლელი ბომბდამშენების მიერ გამოწვეულმა აფეთქებამ 17 მეზღვაური იმსხვერპლა აშშ-ის საზღვაო გემზე USS Cole-ზე, იემენის პორტში, ადენში. დღემდე ყველაზე სასიკვდილო ტერორისტული დარტყმები იყო 11 სექტემბრის თავდასხმები (2001), რომელშიც ალ-ქაიდასთან დაკავშირებულმა თვითმკვლელმა ტერორისტებმა გაიტაცეს ოთხი კომერციული თვითმფრინავი, ორი მათგანი დაეჯახა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპ კოშკებს ნიუ-იორკში, მესამე კი პენტაგონის შენობას ვაშინგტონის მახლობლად; მეოთხე თვითმფრინავი ჩამოვარდა პიცბურგთან, პენსილვანიაში. შემთხვევის შედეგად განადგურდა

მსოფლიო სავაჭრო ცენტრის კომპლექსი და პენტაგონის ერთი მხარის დიდი ნაწილი და 3 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.³

ტერორიზმი, როგორც ჩანს, პოლიტიკური ცხოვრების მდგრადი მახასიათებელია. 11 სექტემბრის თავდასხმებამდე კი გავრცელებული იყო შეშფოთება იმის თაობაზე, რომ ტერორისტებმა შეიძლება გაავრცელონ თავიანთი დესტრუქციული ძალა მასობრივი განადგურების იარაღის - ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის გამოყენებით, როგორც გააკეთა იაპონიის განკითხვის კულტმა AUM Shinrikyo-მ, რომელმაც გაუშვა "ნერვული გაზი" ტოკიოს მეტროში 1995 წელს. ეს შიშები კიდევ უფრო გაძლიერდა 11 სექტემბრის შემდეგ, როდესაც ანთრაქსით მოწამლული უამრავი წერილი გადაეცა პოლიტიკურ ლიდერებსა და ჟურნალისტებს შეერთებულ შტატებში, რამაც გამოიწვია რამდენიმე ადამიანის გარდაცვალება. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 21-ე საუკუნის დასაწყისში აშშ-ს საგარეო პოლიტიკის საყრდენ წერტილად განიხილა ფართო "ომი ტერორიზმის წინააღმდეგ".⁴

თანამედროვე ტერორიზმის ისტორია საფრანგეთის რევოლუციით დაიწყო და მას შემდეგ განვითარდა. ტერორიზმის ყველაზე გავრცელებული მიზეზები ან ფესვები მოიცავს ცივილიზაციების ან კულტურულ შეტაკებებს, გლობალიზაციას, რელიგიას, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს ან რუსეთის შეჭრას ავღანეთში. ტერორიზმის უფრო პირადული ან ინდივიდუალური ნიშნებია იმედგაცრუება, ჩამორთმევა, ნეგატიური იდენტობა, ნარცისიზმი და/ან მორალური განადგურება. უნდა ვიცოდეთ ტერორიზმის ხუთი ტიპი:

1. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ტერორიზმი, რომელიც შედგება ტერორისტული აქტებისგან სახელმწიფოზე ან მთავრობაზე სახელმწიფოს ან მთავრობის მიერ;

³ John Philip Jenkins, „Types of terrorism“, Britannica 2021. P.1. <https://www.britannica.com/topic/Direct-Action> (ბოლო ნახვა -1.06.2021)

⁴ John Philip Jenkins, „Types of terrorism“, Britannica 2021. P.1. <https://www.britannica.com/topic/terrorism/Types-of-terrorism> (ბოლო ნახვა -3.06.2021)

2. აზრთა სხვაობასთან დაკავშირებული ტერორიზმი, რომელშიც შედის ტერორისტული ჯგუფები, რომლებიც აჯანყდნენ თავიანთი მთავრობის წინააღმდეგ;
3. ტერორისტები და მემარცხენეები და მემარჯვენეები, რომლებიც არიან პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ჯგუფები;
4. რელიგიური ტერორიზმი, რომელშიც შედის რელიგიურად უკიდურესად მოტივირებული ტერორისტული ჯგუფები;
5. და კრიმინალური ტერორიზმი, რომელიც გამოიყენება დანაშაულებრივი და კრიმინალური აქტების სასარგებლოდ.⁵

ტერორიზმი, როგორც ასეთი, უკვე ძალიან ფართო ცნებაა: "ტერორიზმის იარაღი გამოიყენება საკმაოდ განსხვავებული ფენომენის ფართო სპექტრის დასაფარად". უფრო მეტიც, ტერორიზმის გამომწვევი მიზეზი არ არის აუცილებელი, რომ იგივე იყოს ამ სხვადასხვა ფენომენისთვის: "ზოგიერთმა ძირეულმა ფაქტორმა შეიძლება განსხვავებულად იმოქმედოს სხვადასხვა ტიპის ტერორისტულ ჯგუფებზე". ამიტომ აუცილებელია ტერორიზმის სხვადასხვა ფორმის გამოყოფა. ამის გაკეთება შეიძლება ორი გზით: ან ძველი სტილის ტერორიზმისა და ახალი სტილის ტერორიზმის განსხვავებით, ან ტერორიზმის რამდენიმე სახეობის გარჩევით. ნება მომეცით, პირველ რიგში განვასხვავო ტერორიზმის ორი სტილი. ძველი სტილის ტერორიზმი მოიცავს ტერორიზმს, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფოების გარეშე არსებულ ერებთან. ამ სტილის ტერორიზმის სახელს ერთგვარად შეცდომაში შევყავართ, რადგან ძველი სტილის ტერორიზმი დღესაც არსებობს. ასეთ ტერორისტულ ჯგუფებში მოქმედი ადამიანები მზად არიან გამოიყენონ ტერორისტული მეთოდები კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფოს შექმნის მიზნით. ამიტომ, ძველი სტილის ტერორიზმი

⁵ Definition, History, and Types of Terrorism, 2020. P.1. <https://ekuonline.eku.edu/homeland-security/definition-history-and-types-terrorism> (ბოლო ნახვა -3.06.2021)

”არსებითად ადგილობრივია, რადგან მისი ამბიციები ადგილობრივია”. ამის შედეგად, ამგვარი ტერორიზმი შეზღუდულია ძალადობის გამოყენებაშიც. ძველი სტილის ტერორისტული ჯგუფის მაგალითია სეპარატისტული ბასკური მოძრაობა ETA, როგორც ეს ადრეც იყო ნახსენები. ამ ჯგუფის მთავარი მიზანია ესპანეთის ჩრდილოეთით ცალკე სახელმწიფოს შექმნა: ადგილობრივი მიზანი. ”მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ტერორისტი ჯერ კიდევ პატრიოტი და ნამდვილი რევოლუციონერია, ეს ნიმუში აღარ არის ტიპური”. ამჟამინდელი ნიმუში არის ის, რასაც ახალი სტილის ტერორიზმს უწოდებენ.⁶

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ხაზგასმულია ახალი სტილის ტერორიზმის სამი განმასხვავებელი ასპექტი: პრეტენზიების უფრო ფართო სპექტრი, ძალადობის დაუნდობელი გზები და ქსელის სტრუქტურა. პირველ დამახასიათებელ ასპექტთან დაკავშირებით, გიდენსი აცხადებს, რომ ახალი სტილის ტერორიზმს აქვს გლობალური გავრცელება, რადგან მას სურს მსოფლიო საზოგადოების რესტრუქტურირება. ამბიციების გლობალურობასთან ერთად, ახალი სტილის ტერორისტები იყენებენ ძალადობის ფართო და დაუნდობელ გზებსაც. ამ თვალსაზრისით, ახალი სტილის ტერორიზმმა გაზარდა სიკვდილიანობის გავრცელება მასობრივი განადგურების იარაღისა და სხვა ტექნოლოგიების განვითარების გამო, როგორცაა კომუნიკაცია და ტრანსპორტირება.

დაბოლოს, ახალი სტილის ტერორიზმის ასპექტების დასახელებისას აღსანიშნავია ტერორისტული ჯგუფების ორგანიზაციული სტრუქტურა. ტერორისტული ჯგუფები მსგავსია ე.წ. ქსელური ორგანიზაციებისა. ”ადგილობრივ უჯრედებში ბევრი ავტონომიაა და მათ შეუძლიათ გამრავლება ცენტრისგან რაიმე ძლიერი მიმართულების გარეშე”. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი სტილის ტერორისტული ჯგუფები თავისუფლად უკავშირდებიან ერთმანეთს, რასაც შედეგად მოჰყვა უპრეცედენტო დონის

⁶ Chris Jan Geugies, Bachelor thesis in completion of the bachelor public administration at the faculty Management and Governance of the University of Twente. Title: The Origins of Terrorism: a comparison between the international anti-terrorism strategies of the USA and the Netherlands. September 2007. Pp12-13.

კომუნიკაცია და კოორდინაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამი ასპექტი წარმოდგენილია როგორც ახალი სტილის ტერორიზმისთვის დამახასიათებელი, ამ ცნებაში შეიძლება ეჭვის შეტანა.

პირველ ასპექტთან დაკავშირებით, 9/11-მდე - ალ-ქაიდას არსებობამდეც კი, არსებობდა ჯგუფები, რომლებიც მსოფლიო საზოგადოების რესტრუქტურირების ისახავდა მიზნად. ყველაზე ცნობილი მაგალითები, რა თქმა უნდა, კომუნისტური ჯგუფებია, რომლებიც ცდილობდნენ კომუნიზმის დამკვიდრებას გლობალურად. ასევე მეორე ასპექტი იმისა, თუ რა იქნება დამახასიათებელი ახალი სტილის ტერორიზმისთვის, მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. სწორია, რომ 11 სექტემბერი ყველაზე საშინელი ტერაქტი იყო, თუმცა, გადაჭარბებული ჩანს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ახალი სტილის ტერორიზმი დაუნდობელია მასობრივი განადგურების იარაღის განვითარების გამო, რადგან ამ ტიპის იარაღი დღემდე არცერთ ტერორისტულ ჯგუფს არ გამოუყენებია. ასევე, ახალი სტილის ტერორიზმის მესამე ასპექტის გათვალისწინებით, შეიძლება ეჭვი შეგეპაროთ, რომ იგი მხოლოდ ახალი სტილის ტერორიზმისთვის არის დამახასიათებელი. ქსელის სტრუქტურა ახალი სტილის ტერორისტების გამოგონება არ არის, რადგან მე-20 საუკუნის დასაწყისში კომუნისტური ჯგუფები იყენებდნენ ამგვარ კომუნიკაციებს.

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ახალი სტილის ტერორიზმის სამი დასახელებული მახასიათებელი უხეშად აღწერს რას გულისხმობს ეს ფენომენი, ის არ არის დამახასიათებელი ექსკლუზიურად მხოლოდ ახალი სტილის ტერორიზმისთვის. მეორე გზა, რომლის საშუალებითაც შეიძლება განისაზღვროს ტერორიზმის ცნება, არის მისი რამდენიმე სახის გამოყოფა. შმიდმა ტერორიზმის ფართო დაყოფა მოახდინა ტიპოლოგიის გამოყენებით, რომელიც განასხვავებს ხუთ სახეს: სოციალურ-რევოლუციური ტერორიზმი (მემარცხენე), მემარჯვენე და რასისტული ტერორიზმი, ერთ საკითხთან დაკავშირებული ტერორიზმი, ნაციონალისტური და სეპარატისტული ტერორიზმი (მათ შორის ეთნიკური ტერორიზმი), და ბოლოს, რელიგიური

ტერორიზმი. ამ კვლევის ფარგლებში მე ყურადღებას გავამახვილებ ამ უკანასკნელზე: რელიგიურ ტერორიზმზე.⁷

რელიგიური ტერორიზმი შეიძლება ჩაითვალოს რელიგიური დევნისა და რელიგიური ომის იარაღად. ამ ტიპის ტერორიზმზე ყურადღების გამახვილების მიზეზი ძირითადად ემყარება იმ ფაქტს, რომ რელიგიური ტერორიზმი ბოლო პერიოდში იზრდება. მაგალითად, რაპოპორტი აცხადებს, რომ ტერორიზმი შეიძლება დაიყოს ოთხ (ქრონოლოგიურ) ტალღად. მესამე - რევოლუციურმა ტალღამ - 1980-იან წლებში დაიწყო გაქრობა. "რელიგიური ტალღა იმავე ათწლეულში დაიწყო". თავიანთ კვლევაში, ლუტცი და ლუტცი იმავე დაკვირვებამდე მივიდნენ: 1990 წლის შემდეგ, კომუნალიზმი - განსაკუთრებით რელიგიაზე დაფუძნებული - კვლავ გამოჩნდა, როგორც დისიდენტური ტერორიზმის მთავარი წყარო.

კვლევის ფარგლებში, ერთი ნაბიჯით წავიწვევთ წინ და აქცენტს გავაკეთებ რელიგიური ტერორიზმის კონკრეტულ სახეობაზე: ჯიჰადისტურ ტერორიზმზე, ანუ ტერორიზმზე, რომლის ფესვებიც ისლამიდან მოდის. გასაგები რომ იყოს, ყველა რელიგიას - იქნება ეს ქრისტიანობა, ინდუიზმი, ისლამი ან იუდაიზმი - ჰყავს თავისი ტერორისტები. ამიტომ რელიგიური ტერორიზმი არასოდეს უნდა გაიგივდეს ზოგადად ისლამთან. თუმცა, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ შევაფასოთ ექსტრემისტული ისლამური ფუნდამენტალისტების დაჯგუფების მნიშვნელობა. რელიგიური ტერორიზმი არის იდეები და იდეალები, რომლებიც რელიგიიდან არის ინსპირირებული. სამეცნიერო კვლევის ფარგლებში, ამ კონკრეტული ტიპის ტერორიზმის კონცეფციის განმარტება არ არსებობს. თუკი ერთი წინადადებაში უნდა განისაზღვროს ჯიჰადისტური ტერორიზმი, ხაზი გაესმება ტერორიზმის გამოყენებას ისლამის მტრების წინააღმდეგ, საზოგადოების რეალიზების მიზნით, რომელიც არის ისლამის თავდაპირველი წყაროების ("ჰემმარიტი"

⁷ Chris Jan Geugies, Bachelor thesis in completion of the bachelor public administration at the faculty Management and Governance of the University of Twente. Title: The Origins of Terrorism: a comparison between the international anti-terrorism strategies of the USA and the Netherlands. September 2007. Pp14-16.

ისლამის) ქადაგების წმინდა გამოხატულება. ჯიჰადისტური ტერორიზმი მიემართება "ჯიჰადს", რომელიც არაბულად ნიშნავს "ბრძოლას". როგორც მედია, ისე პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ ტერმინს "შეიარაღებული ჯიჰადი" იმის დასაზუსტებლად, თუ რაზე საუბრობენ: წმინდა ომი მათ წინააღმდეგ, ვინც ისლამს ემუქრება.⁸

ვილკინსონი ხაზს უსვამს ყველა ჯიჰადისტურ ტერორისტულ დაჯგუფების მთავარ მახასიათებელს: ისინი ეწინააღმდეგებიან არა მხოლოდ შეერთებულ შტატებსა და ისრაელს, არამედ დასავლეთის ყველა ქვეყანას. რა თქმა უნდა, ყველაზე ცნობილი ჯიჰადისტური ტერორისტული ჯგუფი არის ალ-ქაიდას ქსელი. ბინ ლადენის ყველა სატელევიზიო შეტყობინებაში, იგი ყურანის სურებს ციტირებს და მოუწოდებს მუსლიმებს, გააძლიერონ ბრძოლა მათ წმინდა ომში. ამავე დროს, ალ-ქაიდა მრავალი თვალსაზრისით არის იმის პროტოტიპი, რასაც უწოდებენ ახალი სტილის ტერორიზმს: ალ-ქაიდა არის ქსელის ტიპის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს გლობალური მიზნები და, როგორც ეს მოხდა 2001 წლის 11 სექტემბერს, ძალზე ლეტალურია. იმის გამო, რომ ალ-ქაიდა ასახავს ახალი სტილის ტერორიზმს და ჯიჰადისტურ ტერორიზმს, იგი ამ კვლევის ყურადღების ცენტრში იქნება. თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჯიჰადისტური ალ-ქაიდას ქსელი არ არის ახალი ტერორიზმის ერთადერთი წარმომადგენელი. ან, როგორც მორგანი ამბობს: "ისლამური რადიკალიზმი არ არის აპოკალიფსური, კატასტროფული ტერორიზმის ერთადერთი ფორმა". მაგალითისთვის ავიღოთ ოკლაჰომას დაბომბვა ამერიკელი მემარჯვენეების მიერ, რომელმაც 168 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ყველაზე ლეტალური ტერაქტი იყო ამერიკის მიწაზე 9/11-მდე.

⁸ Chris Jan Geugies, Bachelor thesis in completion of the bachelor public administration at the faculty Management and Governance of the University of Twente. Title: The Origins of Terrorism: a comparison between the international anti-terrorism strategies of the USA and the Netherlands. September 2007. Pp18-20.

1.2 ტერორიზმის პოლიტიკური და სამხედრო ასიმეტრიული ასპექტები

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემო ხასიათდება მრავალი გამოწვევებით და საფრთხეებით, რომელიც გლობალურ უსაფრთხოებას უფრო მყიფეს ხდის. ტრანსფორმაცია განიცადეს ასიმეტრიულმა საფრთხეებმა და გაჩნდა ახალი განზომილება საფრთხეებისა, როგორცაა საერთაშორისო ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, ბიოტერორიზმი, ბირთვულიტერორიზმი, არასახელმწიფოებრივი აგრესიული აქტორები, კრიმინალური დაჯგუფებები და ა.შ. ახალი საფრთხეების და გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ დიდ ძალისხმევას და ფინანსურ რესურსს მოითხოვს, რომელსაც სამწუხაროდ თან ახლავს საკმაოდ დიდი დანაკარგებიც.

ტერორიზმის მრავალი ფორმა არსებობს ზუსტად ამიტომაც მნიშვნელოვანია განსაზღვროთ მთავარია მოტივე, თუ რა მიზნით ხორციელდება ტერორისტული ძალადობრივი აქტები. პოლიტიკურად ტერორისტულ აქტს აქცევს მისი მოტივები და მიმართულება.

სისხლის სამართლის დანაშაულისაგან ტერორისტული საქმიანობის პოლიტიკური ხასიათი პრინციპულად განსხვავდება, თუმცა მათ შორის გარკვეული მსგავსება არსებობს:

- ტერორისტებიც და სისხლის სამართლის დანაშაულებიც ხშირად შეგნებულად არღვევენ კანონს;
- ხშირად მათ მიერ გამოყენებული სხვადასხვა საშუალებები ერთნაირია;

- არცთუ იშვიათად ტერორისტები თავიანთ საქმიანობაში აბამენ სისხლის სამართლის დამნაშავეებს⁹.

ზემოთაღნიშნული მსგავსების გამო ზოგი მკვლევარი ერთმანეთისგან არ მიჯნავს ტერორიზმსა და სისხლის სამართლის დანაშაულს, თუმცა ავტორთა უმრავლესობა ამ აზრს არ იზიარებს.

პოლიტიკურ ტერორიზმსა და სისხლის სამართლის დანაშაულს შორის უფრო დიდია განსხვავება, ვიდრე მსგავსება. ეს განსხვავება პირველ რიგში მათი მოქმედების მიზნებსა და მოტივებში მდგომარეობს:

- ტერორისტები ცდილობენ დააშინონ საზოგადოება, შეცვალონ სახელმწიფო წყობა, საშინაო პოლიტიკა და ა.შ. სისხლის სამართლის დამნაშავეები კი, პირიქით, ცდილობენ ყურადღება არ მიიქციონ, არ ეხებიან საზოგადოების საფუძვლებს, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ;
- ტერორისტები ესწრაფვიან დარტყმა "სისტემას" მიაყენონ, სისხლის სამართლის დამნაშავეების მიზანი კი ფულის შოვნაა. ამიტომ, მაგალითად, ბანკის გაძარცვა ტერორისტისთვის დამხმარე აქციაა, სისხლის სამართლის დამნაშავეისთვის კი ძირითადი;
- ტერორისტები მკვლევლობას ან მკვლევლობის მუქარას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, სისხლის სამართლის დამნაშავეებისათვის კი ეს მხოლოდ შესაძლო გამორჩენის შემთხვევაში არის გამართლებული;
- ტერორისტულმა აქტმა უნდა შეადრწუნოს საზოგადოება თავისი სისასტიკით, რათა იქცეს თავისებურ კომუნიკაციის საშუალებად ტერორისტებსა და ხელისუფლებას შორის, ხელისუფლებაზე ზემოქმედების საშუალებად. ამიტომ ტერორისტები არ მალავენ თავიანთ კავშირს დანაშაულთან, სისხლის სამართლის დამნაშავეები კი ცდილობენ "თავი არ გამოამჟღავნონ"¹⁰.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში მრავალმა ახალმა საფრთხემ იჩინა თავი რომელიც არ იყო დამახასიათებელი წინა საუკუნისთვის, მათ შორის

⁹ მალხაზიშვილი დ., „ტერორიზმის საფრთხე მსოფლიოსთვის“, თბილისი - 2006. გვ.1. <http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=3&mas=1559> (ბოლო ნახვა - 15.05.2021)

¹⁰ მალხაზიშვილი დ., „ტერორიზმის საფრთხე მსოფლიოსთვის“, თბილისი - 2006. გვ.1. <http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=3&mas=1559> (ბოლო ნახვა - 15.05.2021)

ისეთმა საფრთხეებმაც რომელიც უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც კაცობრიობას უდიდესი რისკების და საფრთხის წინაშე აყენებს განიცადეს სახეცვლილება. ასიმეტრიული საფრთხეებზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თუ რასთან გვაქვს რეალურად საქმე - „ასიმეტრიული საფრთხე - ისეთი სახის საფრთხეა, რომელიც მიმართულია მოწყვლად ადგილებისკენ, როლიებიც დარჩენილნი არიან ყურადღების მიღმა თავდასხმის მიზნით ან მიმართულნი არიან უპირატესობის მოტანისთვის, როდესაც დარტყმის მიზანს შეზღუდული აქვს უნარი თავი დაიკვას.“¹¹ სამხედრო ასიმეტრიული საფრთხეების კონტექსტში შეგვიძლია გამოვყოთ სხვადასხვა საფრთხეები რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე პერიოდისთვის: საერთაშორისო ტერორიზმი, ჰიბრიდული ომი, საინფორმაცია ომი, ბირთვული ტერორიზმი, კიბერტერორიზმი, ბიოლოგიური ტერორიზმი. ასიმეტრიული საფრთხეების კონტექსტში შედის, ასევე ბუნებრივი კატაკლიზმები რომელთა გამოვლენა საკმაოდ რთულია და ხშირ შემთხვევაში რთულიც.

სამხედრო ასიმეტრიული საფრთხეების კონტექსტში მნიშვნელოვანია ასიმეტრიული ომის ფაქტორის და ბუნების განხილვა. ასიმეტრიული ომი ეწოდება ისეთ ომს, როდესაც მეორემხარის სამხედრო ძალები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მკვეთრად ანდა მაშინ როდესაც, მათ მიერ გამოყენებული სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა განსხვავდება მნიშვნელოვნათ.¹² ხშირია როდესაც სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფებები იყენებენ ტერორიზმის სხვადასხვა მეთოდებს როდესაც რთულია იმის განსაზღვრა თუ რეალურად რასთან გვაქვს საქმე, მითუმეტეს მაშინ როდესაც ნაწილი სახელმწიფოებისა ტერორისტულ ორგანიზაციად აცხადებს სხვადასხვა დაჯგუფებას, ხოლო მეორე ჯგუფი კი პირიქით მათ არ აღიქვამს ტერორისტულ ორგანიზაციებად.

¹¹ მალრადე გ., მასიაა ვ., „21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, „უნივერსალი“, თბილისი, 2017. გვ.25.

¹² „ასიმეტრიული ომი, ქათული სამხედრო ანალიტიკური პორტალი“. 6.04.2015. გვ.1.

<https://gmas.ge/2015/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97/> (ბოლო ნახვა - 25.05.2021)

რომლის კარგი მაგალითია ჰამასისადმი სხვადასხვა დამოკიდებულება სახელმწიფოების.

კვლევის ფრაგლებში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს თუ რამდენად შეუძლიათ სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუმკლავდნენ თანამედროვე საფრთხეებისგან მომდინარე გამოწვევებს და რისკებს, რომლებიც სულ უფრო მზარდია თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების და გლობალიზაციის პროცესის შედეგად.

ტერორისტები ყველა შესაძლო საშუალებას მიმართავენ თავიანთი მიზნების მისაღწევად. რომელსაც ისინი, ზოგჯერ იდეოლოგიური თუ რელიგიური სარჩულით ბურავენ და ხალხზე ზემოქმედების მოსახდენად კარგად იყენებენ. გადმობირების და ტერორისტული რიგების შესავსებად ისინი საკმაოდ ფრთხილად მოქმედებენ, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ აქტიურადაც. ზუსტად ამიტომაცაა აუცილებელი ყველა სახელმწიფოს და საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციების ჩართულობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. რადგან კონკრეტულად ერთი სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია თუნდაც რეგიონალური ორგანიზაცია ვერ შეძლებს ცალკე აღებული ტერორიზმის დამარცხებას.

ტერორიზმითან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანია, მათი მხარდაჭერა და მფარველობა არ ხდებოდეს სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან. რომლებიც ხშირ შემთხვევაში კიდევაც წააქეზებენ ტერორისტულ დაჯგუფებებს და გარკვეული ტერორისტული აქტების ჩადენაში ეხმარებიან, ეს იქნება ფინანსურად, შეირადების მიწოდების, სპეციალისტების, სხვადასხვა ინფორმაციის მათ შორის საიდუმლო ინფორმაციის მიწოდებას ეწევიან, რაც თავისთავად უადვილებთ ტერორისტებს არაერთი ტერორისტული აქტის ჩადენას. თუ კი არ მოხდა გამოვლენა და დასჯა ასეთი სახელმწიფოების სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის ბლოკადით თუ ეკონომიკური სანქციებით და ა.შ. მაშინ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო გართულდება. რადგან ფინანსური რესურსები მათ მნიშვნელოვნად გააჩნიათ, ხოლო იარაღის თუ ასაფეთქებელი მოწყობილობის შეძენა არც ისე ძნელია. მათ

შორის ორმაგი დანიშნულების ნივთების მოხვედრა მათ ხელში, რომლისგანაც ისინი შეძლებენ საკმაოდ სახიფათო ასაფეთქებელი მოწყობილობების შექმნას, მათ შორის შესაძლებელია „ბინძური ბომბის“ დამზადება რომელიც მასიურ სიკვდილს გამოიწვევს ადამინებისას დიდ ქალაქებში და დასახლებულ პუნქტებში. რომლის ერთ-ერთი მაგალითი შეგვიძლია გავიხსენოთ 1995 წელს ტოქიოს მეტროში მომხდარი ტერორისტული აქტი, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა მთელი მსოფლიოს მხრიდან. შეგვიძლია გავიხსენოთ 1995 წლის 20 მარტს მომხრადი მოვლენა, როდესაც „აუმ სინრიკოს“ ტერორისტულმა დაჯგუფებამ ტოკიოს მეტროში პიკის საათში, მეტროს ვაგონებში ზარინის შმცვლელი მომწამვლელი ნივთირება გაუშვა. ტერორისტული აქტის შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა და სადღაც 6 ათასზე მეტი მოქალაქე მოიწამლა.

იაპონიაში აღნიშნული ტერორისტული აქტი ყველაზე მასშტაბურ თავდასხმად არის შეფასებული. იაპონიისთვის რომელიც ხასიათდებოდა მანამდე დაბალი კრიმინალის დონით და საკმაოდ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობით შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ტოკოს მეტროს ტერორისტული აქტი. მნიშვნელოვანი დარღვებები გამოვლინდა სამართალდამცავების საქმიანობის მხრიდან, რომლებიც ტერაქტის შემდეგ გულგრილობაში დაადანაშაულეს. გამოიკვეთა, რომ ტერორისტულ აქტამდე რამოდენიმე დღით ადრე არაერთი შეტყობინება შევიდა პოლიციაში, სადაც კონკრეტული მოქალაქეები პოლიციას აფრთხილებდნენ მოსალოდნელი ტერორისტული აქტის შესახებ. თუმცა გაუგებარია რატომ არ გაითვალისწინე პოლიციამ აღნიშნული და არ ჩაატარა გარკვეული გამოძიება ან არ მიიღო უსაფრთხოების ზომები. რაც შეეხება სამართალდამცავების შემდგომ მოქმედებას მათ ორგანიზაციის 200 წევრზე მეტი დააკავეს და 13-ს კი სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

თუმცა ჩვენ გვხდება ისეთი ფაქტები სადაც ტერორისტებს უფრო ჰუმანურად ექცევიან და ხშირ შემთხვევაში ზედმეტადაც, რომლის ნათელი მაგალითია ანდერს ბერინგ ბრეივიკი ნორვეგიელი ტერორისტი. მან 2011 წელს ოსლოში სამთავრობო კვარტალში მოაწყო აფეთქება, ხოლო შემდგომ ნორვეგიაში

შრომის პარტიის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ ბანაკზე მოახდინა ტერორისტული თავდასხმის განხორციელება და ის იყო ამ ყველაფრის, როგორც ორგანიზატორი ასევე შემსრულებელი. ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაიღუპა 77 ადამიანი, მათ შორის ერთი საქართველოს მოქალაქე, ხოლო 151 ადამიანი კი დაიჭრა. ნორვეგიის სასამართლოს გადაწყვეტილებით 2021 წელს მას 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა თუმცა იმის შესაძლებლობით, რომ ვადის გაზრდაც დასაშვებია.

უნდა ავლნიშნოთ, რომ თუ ტერორისტების დასჯა უფრო მკაცრად მოხდება სხვადასხვა ქვეყნებში ეს შეიძლება გახდეს დამატებითი კატალიზატორის ტერორისტული აქტების უფრო ნაკლებად ჩადენიის. რადგან მათ ეცოდინებათ თუ რა სასჯელის წინაშე დადგებიან და ეს არ იქნება მსუბუქი განაჩენი, თუ ჩვენ ახლა ვიძახით სხვადასხვა დანაშაულზე ტერორისტულ აქტებთან შედარებით. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზების მოწესრიგება და მკაცრი ზომების მიღება. ამ პროცესში სახელმწიფოები ერთიანნი უნდა იყვნენ და არა ისე როგორ დღეს არის საერთაშორისო პოლიტიკაში. მითუმეტეს მაშინ როდესაც ზოგიერთ სახელმწიფოს იმის საშუალება და უნარი არ გააჩნია ებრძოლოს ტერორიზმის და დაამარცხოს ტერორისტები თუნდაც აფრიკული ქვეყნების მაგალითზე. სადაც შეიძლება ითქვას სრული განუკითხაობა და ყოველდღიურად ტერორისტული აქტების თუ ტერორისტების თავდასხმების შედეგად იღუპებიან ადამიანები.

1.3 ისლამური სახალიფო ხალიფატი“ დაში“ ახალი ტერორიზმის აქტორი

ISIS- ის წარმოშობა უკავშირდება აბუ მუსაბ ალ-ზარქავის, რომელიც ზოგადად აღიარებულია ორგანიზაციის დამფუძნებლად. მიუხედავად იმისა, რომ ზარქავიმ ISIS- ს იდეური საფუძველი ჩაუყარა, მისი ადრეული წლები

ძნელად წარმოადგენდა ისლამური სიწმინდის მაგალითს. თინეიჯერობის ასაკში, მამის გარდაცვალების შემდეგ, ზარქავიმ მიატოვა სკოლა, ეწეოდა წვრილმან ქურდობას და სვამდა. მისი შემდგომი დემორალიზაციის თავიდან ასაცილებლად დედამ ის ისლამისტურ კურსებზე მიიყვანა. სალაფიზმის გაცნობამ, დოქტრინამ, რომელიც ხელს უწყობდა რელიგიურ სიწმინდეს და ყურანის სიტყვასიტყვით ინტერპრეტაციას, გავლენა მოახდინა ზარქავიზე და აიძულა სიცოცხლე შეეწირა რელიგიური დიდებისთვის. მისი, როგორც მონდომებული ჯიჰადისტის, კარიერა 1989 წელს დაიწყო, როდესაც იგი ავღანეთში გაემგზავრა მოჯაჰედების ბრძოლაში წითელი არმიის წინააღმდეგ. მიუხედავად მისი იმედისა, რომ დაამტკიცებდა რელიგიურ ვალდებულებებს ბრძოლის ველზე, იგი ავღანეთში ჩავიდა მხოლოდ იმისთვის, რომ გამხდარიყო ომის დასრულების მოწმე, მას საბრძოლო მოქმედებებში მნიშვნელოვანი მონაწილეობა არ მიუღია. ამის მიუხედავად, ზარქავი ავღანეთში დარჩა, როგორც რეპორტიორი, და გამოიყენა ეს დრო მსგავსი მსოფლმხედველობის ექსტრემისტების სოციალური ქსელის შესაქმნელად, რათა გაეგრძელებინა ბრძოლა ჭეშმარიტი ისლამის აღქმული მტრების წინააღმდეგ.

1992 წელს ის დაბრუნდა იორდანიაში, სადაც ითანამშრომლა თავის სულიერ მასწავლებელ აბუ მუჰამედ ალ-მაქდისთან, რომლის იდეოლოგიურმა დახვეწილობამ და ისლამის ცოდნამ კიდევ უფრო განამტკიცა ზარქავის ერთგულება სალაფიზმის მიერ დამტკიცებული შავი და თეთრი მსოფლმხედველობის მიმართ.¹³

1994 წელს, სანამ ტერორისტული შეთქმულების განხორციელება შეძლეს, ზარქავი და მაქდისი დააკავეს იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების ფლობის გამო. ციხეში ზარქავი კიდევ უფრო დაუახლოვდა მაქდისს, მაგრამ მისი მენტორის იდეოლოგიური მიდრეკილებისგან განსხვავებით, იგი უფრო მეტად დაინტერესდა თეორიის პრაქტიკაში გამოყენებით. ციხეში ყოფნისას ზარქავი აქტიურად ახორციელებდა ხალხის რეკრუტირებას მის მიერ შექმნილ

¹³ Katarzyna Jasko, Arie W Kruglanski, „ISIS: Its History, Ideology, and Psychology”, April 2018. Pp2-4.

ახალ საბრძოლო ჯგუფში და მან სწრაფად მოიპოვა პატიმრების პატივისცემა თავისი ქარიზმისა და ლიდერული თვისებების დახმარებით.

1999 წელს ზარქავი ციხიდან გაათავისუფლეს იორდანის მეფის აბდულას გენერალური ამნისტიით. იმ დროისთვის მას უკვე ჰქონდა ოპერატიული გეგმა და დაუკავშირდა ოსამა ბინ ლადენს, ალ-ქაიდას ლიდერისგან კურთხევისა და ორგანიზაციული დახმარების მისაღებად. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ყველა გადმოცემის თანახმად, შეხვედრამ ზარქავისთვის არც ისე კარგად ჩაიარა. ბინ ლადენი განაწყენებული იყო ზარქავის რადიკალური შეხედულებებით მუსლიმების მკვლელობასთან დაკავშირებით და მისი ამპარტავნული და უპატივცემულო საქციელის გამო. ზარქავის დახვეწილობის ნაკლებობამ, კრიმინალურმა წარსულმა და ტატუაჟმა ბინ ლადენზე ვერ შექმნა დადებითი პირველი შთაბეჭდილება. ამის მიუხედავად, ზარქავის ინიციატივისა და მისწრაფების აღიარებით, ბინ ლადენი დათანხმდა ალ-ქაიდას ფულით დაეფინანსებინა იგი დასავლეთ ავღანეთში ჰერათში სასწავლო ბანაკის შესაქმნელად. ზარქავის კონტაქტებისა და ორგანიზაციული უნარების გამო, მისი ტერორისტული ქსელი სწრაფად გაიზარდა, მაგრამ 2001 წელს მას აშშ-ს შემოჭრის გამო ავღანეთის დატოვება მოუხდა. მან შემდეგი ორი წელი მოგზაურობაში გაატარა ირანში, იორდანიაში და ერაყში, ქსელის კიდევ უფრო გაფართოების მიზნით.

2003 წლის დასაწყისში დააარსა ერაყის დასავლეთ პროვინციაში ალ ანბარში Jamaat Tawhid wal Jihad, ISIS- ის წინამორბედი. ამ დროს ზარქავი მჭიდრო კავშირში იყო ერაყში მოქმედ კიდევ ერთ ჯიჰადისტურ ჯგუფთან - Ansar al Islam-თან. სინამდვილეში, მისი ყოფნა ერაყში და მისი ჯიჰადისტური კავშირები კოლინ პაუელმა გამოიყენა გაეროში სიტყვით გამოსვლისას, როგორც სადამ ჰუსეინსა და ალ-ქაიდას შორის თანამშრომლობის მტკიცებულება. ბედის ირონიით, არცერთი პრეტენზია არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ალ-ქაიდას ეზიზდებოდა სადამის რეჟიმი და მოქმედებდა ერაყის დიქტატორისგან სრულიად დამოუკიდებლად. უფრო მეტიც, ზარქავის კავშირები ალ-ქაიდასთან უფრო სუსტი იყო, ვიდრე ეს აშშ-ს ადმინისტრაციამ

წარმოადგინა.¹⁴ მათი პირველი შეხვედრის შემდეგ, ბინ ლადენმა განმეორებით მოითხოვა, რომ ზარქავი დამორჩილებოდა ალ-ქაიდას, რაზეც მან მტკიცე უარი მიიღო. თუ პაუელის ბრალდებებმა რამეს მიაღწია, ეს იყო ზარქავის ბრენდის ღირებულების აწევა საერთაშორისო ჯიჰადისტების ბაზარზე, ერთ ღამეში მოხდა მისი კატაპულტირება უცნობი მეზობლის სტატუსიდან ჯიჰადისტ სუპერვარსკვლავამდე. ამასობაში, ზარქავი აქტიურად ემზადებოდა იმისთვის, რასაც საბოლოოდ გეგმავდა. როდესაც განხორციელდა აშშ-ს შეჭრა ერაყში, ზარქავი უკვე მზად იყო.

2.2 ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო კოალიციური ორგანიზაციებისთვის

ვინაიდან გლობალური ანტიტერორისტული ძალისხმევა მოითხოვს ჰოლისტიკურ მიდგომას, მოკავშირეებმა გადაწყვიტეს გააძლიერონ ურთიერთობა და თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო აქტორებთან. უფრო მეტიც, პარტნიორები იყენებენ პარტნიორობის მექანიზმების უპირატესობას დიალოგისა და პრაქტიკული თანამშრომლობისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მათ შორის არის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება.

ტერორიზმი წარმოადგენს გლობალური მასშტაბის საფრთხეს, რომელიც ყველა სახელმწიფოს მოიცავს და მის წინააღმდეგ ბრძოლა არის როგორც სახელმწიფოების, რეგიონალური ორგანიზაციების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების უმთავრესი მიზანი. ტერორიზმითან ბრძოლის საქმეში უნდა იყვნენ ჩართული ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც რომელთა ჩართულობის შედეგად და მოსახლეობაში თვითცნობიერების ამაღლების შედეგად შესაძლებელია გარკვეულწილად დავანახოთ მოსახლეობას რეალურად თუ რა არის ტერორიზმი და რამდენად დამანგრეველი მისი შედეგი ყველასთვის. ზოგჯერ ადამიენებს გონიათ, რომ ტერორიზმი მათ არ შეეხებათ და შესამაბისად ამ საკითხს გულგრილად უყურებენ. რასაც ტერორისტები საკმაოდ კარგად იყენებენ რადგან ტერორისტების გამოვლენის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ ითამაშონ რიგით მოქალაქეებს, რომლებიც მაშინ როდესაც შეამჩნევენ საეჭვოდ მოძრავ ადამიანებს, ან რაიმე ქმედებებს, რაც არაა დამახასიათებელი ჩვეულებრივი ადამიანისთვის მეტი ყურადღება გაამახვილონ და შესაბამისადაც აცნობონ სამართალდამცავ უწყებებს.

დაინტერესებული პარტნიორები წახალისებულნი არიან ნატო-სთან ინდივიდუალური თანამშრომლობის ხელშეკრულებებში შეიტანონ პუნქტი ანტიტერორიზმის შესახებ. მოკავშირეთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საერთო ცნობიერების ამაღლებაზე,

შესაძლებლობების განვითარებაზე, საგანგებო სიტუაციების დაგეგმვასა და კრიზისების მენეჯმენტზე, რათა პარტნიორებმა შეძლონ მოწყვლადობის ამოცნობა და დაცვა და ტერორიზმთან ბრძოლისთვის უფრო ეფექტურად მომზადება. ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების წინააღმდეგ ბრძოლა, მთავრობის საერთო მიდგომა და სამხედრო საზღვრის უსაფრთხოება შედის ნატო-ს პარტნიორებთან მუშაობის სფეროებში. მრავალეროვნული თანამშრომლობის შედეგად, პარტნიორობა მშვიდობისთვის კონსორციუმის მეშვეობით, ნატომ დაიწყო პირველი სტანდარტიზებული ანტიტერორისტული სასწავლო გეგმა 2020 წლის ივნისში, რომელიც მიზნად ისახავს დაინტერესებული მოკავშირეებისა და პარტნიორების დახმარებას ეროვნული უნარ-ჩვევების განვითარებასა და ანტიტერორისტული სტრატეგიების გაუმჯობესებაში.

სასწავლო პროგრამა ასევე გამოიყენება, როგორც საცნობარო დოკუმენტი პარტნიორი ქვეყნების დასახმარებლად, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო განათლებისა და ტრენინგის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, ნატოს თავდაცვის საგანმანათლებლო პროგრამის (DEEP) ფარგლებში. ანტიტერორიზმი ნატო-ს "მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის" (SPS) პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. SPS პროგრამა აძლიერებს თანამშრომლობას და დიალოგს მოკავშირეთა და პარტნიორთა მეცნიერებსა და ექსპერტებს შორის, რაც ხელს უწყობს ტერორისტული საფრთხის უკეთ გააზრებას, გამოვლენისა და რეაგირების ზომების შემუშავებას და ექსპერტთა ქსელის განვითარებას.

საქმიანობაში შედის სემინარები, სასწავლო კურსები და მრავალწლიანი კვლევები და განვითარების პროექტები, რომლებიც ხელს უწყობენ კრიტიკული ინფრასტრუქტურის, მასალისა და პერსონალის დაცვის მეთოდების გამოვლენას; ადამიანის ფაქტორებს ტერორიზმის წინააღმდეგ თავდაცვის სფეროში; ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და უკანონო ქმედებების გამოვლენის ტექნოლოგიებს; და რისკის მართვას, საუკეთესო პრაქტიკას და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას ტერორიზმის საპასუხოდ. SPS პროგრამა

მოქნილია და შეუძლია რეაგირება მოახდინოს განვითარებად პრიორიტეტებზე. მაგალითად, 2017 წელს SPS-მა გამოაქვეყნა წინადადებათა კონკურსი, რომელიც ეხებოდა ადამიანის, სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მიღწევებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 2020 წელს წინადადებების მორიგი წარმატებული კონკურსი ფოკუსირებული იყო ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოჩენის ტექნოლოგიებზე.

2018 წელს ნატომ წამოიწყო ახალი ინიციატივა სენსორებისა და მონაცემთა შერწყმის ტექნოლოგიების ინტეგრირებული სისტემის შესაქმნელად, რომელიც შეძლებს ასაფეთქებელი ნივთიერებების და ფარული იარაღის რეალურ დროში აღმოჩენას და მასობრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაცვას, როგორცაა აეროპორტები, მეტრო და რკინიგზის სადგურები. ამ ინიციატივას წარმოადგენს მრავალი პროექტი, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ 2022 წლისთვის ცოცხალი დემონსტრაციის მისაღწევად.

2014 წლის 1 აპრილს მოკავშირეთა საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაგმეს რუსეთის უკანონო სამხედრო ჩარევა უკრაინაში და რუსეთის მიერ უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. მინისტრებმა ხაზი გაუსვეს, რომ ნატო არ ცნობს რუსეთის უკანონო და არალეგიტიმურ მცდელობას ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით. შედეგად, მინისტრებმა გადაწყვიტეს შეეჩერებინათ სამოქალაქო და სამხედრო პრაქტიკული თანამშრომლობა ნატოსა და რუსეთს შორის, მათ შორის ანტიტერორისტულ სფეროში, რომელიც 2002 წლის მაისში ნატო-რუსეთის საბჭოს შექმნის მთავარი მამოძრავებელი იყო. ეს გადაწყვეტილება დაადასტურეს მოკავშირეთა ლიდერებმა 2014 წლის სექტემბერში უელსის სამიტზე და პრაქტიკული თანამშრომლობა რუსეთთან დღემდე შეჩერებულია.

ნატო განსაკუთრებული სახით თანამშრომლობს გაეროსთან, ევროკავშირთან და ეუთოსთან, რათა უზრუნველყოს მოსაზრებების და ინფორმაციის გაზიარება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება, ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლისთვის. გაეროს გლობალური

ანტიტერორისტული სტრატეგია, საერთაშორისო კონვენციები და ოქმები ტერორიზმის წინააღმდეგ, გაეროს შესაბამის რეზოლუციებთან ერთად წარმოადგენს საერთო ჩარჩოებს ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ნატო მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს ანტიტერორისტულ კომიტეტთან და მის აღმასრულებელ დირექტორატთან, ასევე ანტიტერორისტული განხორციელების სამუშაო ჯგუფთან და მის შემადგენელ მრავალ ორგანიზაციასთან, მათ შორის გაეროს ნარკტიკებისა და დანაშაულის ოფისთან. ნატოს განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობები ხშირად მნიშვნელოვანია გაეროს ანტიტერორისტული პრიორიტეტებისთვის, ისევე როგორც ასაფეთქებელი ნივთიერებების მართვის კონკრეტული სფერო. უფრო ფართო მასშტაბით, ნატო მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს სააგენტოებთან, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ საერთაშორისო კატასტროფებზე რეაგირებასა და მათი შედეგების მენეჯმენტში, მათ შორის გაეროს ჰუმანიტარულ საკითხთა კოორდინაციის ოფისთან, ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციასა და გაეროს 1540 რეზოლუციის კომიტეტთან.

2019 წლის მარტში, ნატომ და გაერომ წამოიწყეს ერთობლივი პროექტი იორდანიაში ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღისადმი მედეგობის გასაუმჯობესებლად. ნატო და ევროკავშირი მზად არიან ებრძოლონ ტერორიზმს და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას. ისინი რეგულარულად ცვლიან ინფორმაციას ანტიტერორისტულ პროექტებსა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან მიმართებით, როგორცაა მოსახლეობის დაცვა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღის თავდასხმებისგან. ურთიერთდამოკიდებულება და თანამშრომელთა კონტაქტი ევროკავშირის საგარეო სამოქმედო სამსახურის ანტიტერორისტულ განყოფილებასთან, ევროკავშირის კონტრტერორისტული საკოორდინაციო საბჭოს ოფისთან და ევროკავშირის სხვა ნაწილებთან ურთიერთგაგებისა და კომპლემენტარობის უზრუნველყოფის საშუალებაა. ნატო ინარჩუნებს მჭიდრო ურთიერთობას ეუთოს ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის ტერორიზმის

საწინააღმდეგო განყოფილებასთან და სავაჭრო ოფისებთან და სასაზღვრო კოლეჯთან დუშანბეში (ტაჯიკეთი), რომელიც მუშაობს საზღვრების დაცვაზე, საზღვრის უსაფრთხოების სააგენტოების უფროსი ოფიცრების სპეციალიზირებული წვრთნების გზით.

ნატოსა და ეუთოს შორის საერთო ინტერესის სხვა სფეროებია გენდერი და ტერორიზმი, საერთო მიდგომა ტერორიზმის წინააღმდეგ, აგრეთვე ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა. ნატო ასევე თანამშრომლობს სხვა რეგიონალურ ორგანიზაციებთან ტერორიზმის საფრთხის აღმოსაფხვრელად. 2019 წლის აპრილში ნატომ და აფრიკის კავშირმა ჩაატარეს პირველი ერთობლივი კონტრტერორისტული ტრენინგი ალჟირში, ხოლო 2019 წლის დეკემბერში ნატომ უმასპინძლა ანტიტერორისტულ დიალოგს აფრიკის კავშირთან ერთად. სამოქალაქო თვითმფრინავების იარაღად გამოყენებამ 9/11-ის ტერაქტში გამოიწვია საავიაციო უსაფრთხოების გაუმჯობესება. ნატომ მონაწილეობა მიიღო საჰაერო მიმოსვლის კონტროლის სამოქალაქო და სამხედრო კოორდინაციის გაუმჯობესებაში EUROCONTROL-თან, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ICAO), აშშ-ს ფედერალურ საავიაციო ადმინისტრაციასთან, ეროვნული საავიაციო და უსაფრთხოების უწყებებთან, ავიაკომპანიებსა და საპილოტე ასოციაციებთან და საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციასთან (IATA) თანამშრომლობით.²⁹

თავი III. ევროატლანტიკური უსაფრთხოების დილემა ახალი ტერორიზმის კონტექსტში

²⁹ „Countering terrorism”, North Atlantic Treaty Organization, 08 Jun. 2021. P.1 https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77646.htm (ბოლო ნახვა - 2.06.2021)

3.1 ევროატლანტიკური უსაფრთხოების პრობლემა, ტერორიზმის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის ფონზე

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში მრავალი გამოწვევის წინააღმდეგ უწევს ბრძოლა ნატოს, რომელთაგან სკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ახალ ტერორიზმს. გლობალური უსაფრთხოებისთვის და ნატოსთვის ახალი ტერორიზმი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა. 2010 წლის ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში განსაზღვრულ იქნა საერთაშორისო ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეების ფაქტორი. 2001 წელის 11 სექტემბერს მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ ვაშინგტონში და ნიუ-ორკში ალიანსმა უფრო მეტი ყურადღება დაუთმო ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეების განაიტრალების და რეაგირების საკითხს.

თანამედროვე პერიოდში ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული და მეცნიერული განსაზღვრება არ არსებობს. სწორედ ამიტომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) და ნატო იყენებენ ტერმინს „ტერორიზმი“, როგორც საერთო ტერმინს, დიფერენცირების გარეშე. ეს არის პოლიტიკური ტერმინი, რომელიც ძნელად გასამიჯნია, ისეთი ქმედებებისგან, როგორცაა, მაგალითად, საოკუპაციო ძალის ძალადობრივი ოპოზიცია, თვითაღიარებული განმათავისუფლებელი მოძრაობები ან სხვა შიდა ეთნიკური, რელიგიური, რეგიონული თუ ტომთაშორისი კონფლიქტები. 1990-იან წლებში, არშემდგარ სახელმწიფოთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, ტერორისტულ ორგანიზაციათა ფორმებმა ქსელების ურთიერთქმედების, მოქნილობისა და მობილურობის მაღალი დონის, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროფესიული გამოყენების და საზღვრების მოშლის წყალობით, საერთაშორისო განზომილება შეიძინა.³⁰

ნატო სხვადასხვა ანტიტერორისტულ და სამშვიდობო მისიაში იყო და არის ჩართული, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისია არის ავღანეთის. მას

³⁰ ჰელმუტ ვ. განსერი, ვულფ ლაპინსი, დეტლეფ ფული. „რა დარჩა დასავლეთისგან? – Quo Vadis NATO?“, თბილისი-2018. გვ. 10.

შემდეგ, რაც ნატო დაასრულებს სამხედრო ყოფნას ავღანეთში, იგი გახსნის ახალ თავს ქვეყანასთან ურთიერთობებში. მოკავშირეები იტოვებენ ვალდებულებას, განაგრძონ ავღანეთის გრძელვადიანი უსაფრთხოების მხარდაჭერა, მათ შორის ავღანეთის უსაფრთხოების ძალებისა და ინსტიტუტების საზღვარგარეთ გაწვრთნითა და ფინანსური დახმარებით. სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვისა და კრიზისების მენეჯმენტის შესახებ ნატო-ს ხანგრძლივი სამუშაოები უზრუნველყოფს რესურსს, რომელიც შეიძლება მოემსახუროს როგორც მოკავშირეებს, ასევე პარტნიორებს, მოთხოვნის საფუძველზე. ეს სფერო შეიძლება ეხებოდეს უშუალოდ ანტიტერორიზმს, მედეგობის შექმნასა და შესაბამის დაგეგმვასა და მომზადებას ტერორისტულ აქტებზე რეაგირებისა და მათ მიერ მიყენებული ზიანის აღდგენის მიზნით.

ახალი საიტი: ეროვნული ხელისუფლება პასუხისმგებელია მათი მოსახლეობისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვაზე ტერაქტების, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (CBRN) ინციდენტებისა და სტიქიური მოვლენების შედეგებისგან. ნატოს შეუძლია დაეხმაროს ქვეყნებს არასავალდებულო რჩევისა და მინიმალური სტანდარტების შემუშავებით და გამოიყენოს ფორუმი, როგორც საუკეთესო პრაქტიკისა და გაკვეთილების გაცვლის პლატფორმა, მზაობისა და ეროვნული მედეგობის გასაუმჯობესებლად.

ნატომ შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები სამოქალაქო და სამხედრო თანამშრომლობის გასაზრდელად CBRN ინციდენტების საპასუხოდ და აწყობს "საერთაშორისო კურსებს CBRN ინციდენტებზე პირველადი რეაგირების ტრენერებისათვის". ნატოს ხელმძღვანელობამ ასევე შეიძლება კონსულტაცია გაუწიოს ეროვნულ ხელისუფლებას ფართო საზოგადოების გაფრთხილებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების თვალსაზრისით. მისი ევროატლანტიკური კატასტროფების რეაგირების საკოორდინაციო ცენტრი (EADRCC) კოორდინაციას უწევს ეროვნული მოთხოვნების საფუძველზე დახმარების გაწევას ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი

კატასტროფების შემდეგ, მათ შორის ტერორისტული აქტების შემდეგ, რომლებიც მოიცავს CBRN ნივთიერებებს.

2019 წლის 14 თებერვალს თავდაცვის მინისტრებმა მხარი დაუჭირეს უპილოტო საჰაერო სისტემების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულ ჩარჩოს და სამოქალაქო და სამხედრო თანამშრომლობის სახელმძღვანელო მითითებებს ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღის გამოყენებით პოტენციური ტერაქტის შემთხვევაში. 2019 წლის 3-4 აპრილს ნატოს 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს ნატოს ანტიტერორისტული სამოქმედო გეგმა. 2019 წლის 4 დეკემბერს, მოკავშირეთა ლიდერებმა ყურადღება გაამახვილეს განახლებულ სამოქმედო გეგმაზე, რათა უზრუნველყოთ ნატოს როლის ზრდა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ ასევე გაითვალისწინეს ნატოს როლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ შორის ალიანსის სასწავლო მისიები ერაყსა და ავღანეთში, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ISIS-სა და სხვა ტერორისტული ჯგუფების აღორძინების პრევენციის თვალსაზრისით.

ტერორიზმის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის ფონზე ალიანსის წინაშე ჩანდება სხვადასხვა საფრთხეები და გამოწვევები თუ ნატო საკმაოდ ეფექტურად უმკლავდება ახალ გამოწვევებს. ალიანსის ერთიანი პოლიტიკა და ძალისხმევა მაქსიმალურად მიმართულია ახალი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში ერთიენია მიდგომის და სატრატეგიული პოლიტიკის შედეგად გაუმკლავდენე ახალ გამოწვევებს.

3.2 საქართველოს როლი ახალი ტერორიზმის დაძლევის საკითხში

საქართველოს როლი და ჩართულობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საკმაოდ დიდი, ის ჩართულია სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში, რითაც საკუთარი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. საქართველო ნათლად ხვდება ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეების და რისკების მნიშვნელობას მისი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით. შესაბამისადაც მნიშვნელოვან ძალისხმევას ხარჯავს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა საქართველოს აძლევს შესაძლებლობას უკეთ გაუმკლავდეს ტერორიზმისგან მომდინარე რისკებს და საფრთხეებს, რომლის დაძლევა ცალკეული სახელმწიფოსთვის შეუძლებელია. ამის მიზეზიც გასაგებია რადგან შეუძლებელია ამხელა საფრთხეს რომელიც ასიმეტრიულ დონეზეა და რომლის მასშტაბები საკმაოდ დიდია, ერთმა პატარა სახელმწიფომ მარტო შეძლოს მისი გამკლავება.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის. ტერორიზმი როგორც გლობალური საფრთხე თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში საკმაოდ ცვალებადი, მათ შორის არაპროგნოზირებადიანი ასიმეტრიული და მზარდი საფრთხეა.

ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები უარყოფითად აისახება კავკასიის რეგიონზეც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმის მაღალი რისკის ქვეყანათა რიცხვს, აღნიშნული მიმართულებით არსებობს გარკვეული გამოწვევები.³¹ როგორც საქართველოსთვის, ასევე ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია თავიანთ ტერიტორიაზე ტერორისტული საქმონობის პრევენცია და აღკვეთა. ტერორიზმი სხვადასხვა სახელმწიფოს მხრიდან მიერ შესაძლოა პოლიტიკური და სამხედრო მიქნებისთვის იქნას გამოყენებული.

ახალ ტერორიზმთან ბრძოლის სამქში მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების როლი, რომელსაც საკმაოდ კარგად იყენებენ ტერორისტები

³¹ „ტერორიზმთან ბრძოლა“, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, გვ.1.
<https://ssg.gov.ge/page/counter-terrorism> (ბოლო ნახვა -12.06.2021)

და შესაბამისად მათი ინდენტიფიცირება საკმაოდ რთული ხდება. თუნდაც კრიპტო ვალუტის საკითხში რომლის გადარიცხვები და ტრანზაქციების შესრულების და გადმომგავნი თუ მიმღების გამოვლენა საკმაოდ რთულია ან ხშირ შემთხვევაშიც შეუძლებელია. ახალი ტერორიზმის კონტექტში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იდეოლოგიური მიმართულებას რომლის გარეშეც შეუძლებელია ახალი რიგების შევსება ტერორისტების მიერ. შესაბამისად ისინი საინფორმაციო სივრცეს საკმაოდ კარგად იყენებენ. ინტერნეტ-სივრცის გამოყენებით ტერორისტები ახორციელებენ სხვადასხვა ტერორისტულ აქტებს, წინ წამოიწია კიბერ ტერორიზმის საკითხმა რომელიც აქტუალური თემაა. ახალი ტერორიზმის ფორმატში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე მასობრივი განადგურების იარაღის ფაქტორი. რომელიც ტერორისტებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან სამიზნეს წარმოადგენს თავისი გამანადგურებელი და დესტრუქციული ძალის ქონის გამო. ახალი ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეების და რისკების დასაძლევად საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან. ალიანსის წევრ სახელმწიფოებთან აშშ-თან, დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან და ა.შ. ასევე საკმაოდ აქტიური თანამშრომლობა ხორციელდება ისრაელთანაც რომელსაც მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნია ანტიტერორისტული ოპერაციები განხორციელების კუთხით.

ნატო და სერთაშორისო პარტნიორები აღიარებენ საქართველოს ჩართულობას და როლს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძლის საკითხში. რომლის ნათელი მაგალითია ნატოს სპეციალური წარმომადგენლის განცხადება საქართველოს ჩართულობასთან და რომელზე საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში „ავღანეთის მისია, რომელიც ახლა დასასრულს უახლოვდება, ცხადია იყო ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც საქართველომ გვაჩვენა, რომ მას უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ამავე დროს საქართველომ გააუმჯობესა შეიარაღებული ძალებისა და მათი თავსებადობა ნატო-ს

ძალბთან.³² მან ასევე ყურადღება გაამახვილა ამ კომპონენტების საკითხზე რათა არსებული მიღწევები არ დაიკარგოს. ალიანსის პოზიციაა პოლიტიკურა და პრაქტიკული ჩართულობა რომელიც გააჩნია საქართველოსთან შენარჩუნებულ იქნას და უფრო გაღრმავდეს ეს სფერო სხვადასხვა პროექტების მეშვეობით.

ახალი ტერორიზმი იყენებს სხვადასხვა მეთოდებს და ახალ ტექნოლოგიას ჩათვლით, რომელთა შედეგადაც საკმაოდ მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახელმწიფოებს და მოქალაქეებს რომლებიც უდანაშაულოდ ეწირებიან ტერორისტების მიზნებს. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში სახელმწიფო დონეზე მნიშვნელოვანია, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და გათვალისწინება იმ მიდგომების რომელიც გააჩნიათ მეწინავე სახელმწიფოებს. ამ მიმართულებით საქართველოს თანამშრომლობა აშშ-თან არის მნიშვნელოვანი რადგან ის საკმაოდ დიდ დახმარებას უწევს ჩვენს ქვეყანას და შესაბამისად ჩვენი უსაფრთხოების გარემო მეტად დაცულია.

საქართველოს პოლიტიკა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საფერო ეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილებას, ის ასევე, ჩართულია საერთაშორისო ფორმატებში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. აქტიურად თანამშრომლობს ნატოსა და ეროვნული შესაბამის ორგანოებთან და სტრუქტურებთან ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. თანამშრომლობს ინტერპოლთან და სხვადასხვა სახელმწიფოებთან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების და განვითარების მიმართულებით, სადაც ხდება გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარება. საქართველოსთვის პრიორიტეტს წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე პარტნიორობის გაღრმავება, ახალი ტერორიზმის პრევენციის და მის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

³² ახალაია ლ., „ჯეიმს აპატურაი - ნატო აფასებს საქართველოს როგორც პარტნიორს, ყოველთვის მზად ვიქნებით, საქართველო ჩვენს მისიებში იყოს წარმოდგენილი“, თბილისი- 08.06.2021. <https://1tv.ge/news/jeims-apaturai-nato-afasebs-saqartvelos-rogorc-partniors-yoveltvis-mzad-viqnebit-saqartvelo-chvens-misiebshi-iyos-warmodgenili/> (ბოლო ნახვა - 14.06.2021)

3.3 საქართველოს პარტნიორობა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან

მას შემდეგ რაც 1989 წელს დაინგრა ბერილის კედელი და დაიშალა საბჭოთა კავშირი, საქართველომ მოიპოვა ნანატრი დამოუკიდებლობა. თუმცა დამოუკიდებლობის პირველი წლები არ იყო მშვიდი პერიოდი რადგან 90-იან წლებში საკმაოდ ბევრი პრობლემის, გამოწვევის, კონფლიქტების და კრიზისის წინაშე აღმოჩნა საქართველო და ქართველი ხალხი. არსებული გამოწვევის და კონფლიქტების გაჩაღებაში უდიდესი წვლილი მიუწღვის რუსეთ, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს, რომლისთვისაც მძიმე დარტყმა იყო საბჭოთა კავშირის დაშლა და ზუსტად ამიტომაც მისმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მის დაშლას უწოდა 20-ე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა. დღესაც კრემლში საკამოდ მძიმედ აღიქვამენ ამ მოვლენას და ცდილობენ საკუთარი გავლენის გაფართოებას პოსტ-საბჭოთა სივრცეში. რუსეთი აგრესიული ქმედებებით ცდილობს ხელი შეუშალოს ნატოს გაფართოების ფროცესს. ის ნატოს აღიქვამს თავის მტრად და მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სამხედრო თუ ფინანსურ რესურსებს ხარჯავს საკუთარი შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

„ნატო-საქართველოს თანამშრომლობა 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC) შეუერთდა. აღნიშნულ ფორმატში, რომელსაც 1997 წლიდან ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC-Euro-Atlantic Partnership Council) ეწოდა, ალიანსის პარტნიორი და წევრი ქვეყნები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ. 1994 წელს საქართველო ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ (PfP - Partnership for Peace) პროგრამას შეუერთდა, ხოლო 1996 წლიდან აქტიურად მონაწილეობს PfP პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.“³³ PARP ხელს უწყობს ეფექტური, ხელმისაწვდომი და მდგრადი საქართველოს შეიარაღებული ძალების (GAF)

³³ „თანამშრომლობა ნატოსთან“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გვ.1.
<https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan> (ბოლო ნახვა - 14.05.2021)

განვითარებას. იგი ემსახურება როგორც დაგეგმვის საშუალებას თავდაცვისა და სამხედრო ტრანსფორმაციის მცდელობებში პროგრესის წარმართვისა და შეფასების მიზნით. ამ მიზნით, ნატოს საერთაშორისო შტაბი ყოველწლიურად აწარმოებს PARP შეფასებას, რომელიც აანალიზებს საქართველოს წინსვლას შეთანხმებული პარტნიორობის მიზნების (PG) განსაზღვრაში. თავისთავად, PARP ორწლიანი პროცესია და PARP- ის კვლევის საფუძველზე, PG- ს განიხილავს ორ წელიწადში ერთხელ.

ნატო-საქართველოს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტნიორობის სხვადასხვა პროგრამისა და მექანიზმების შემუშავებით. ისინი ორიენტირებულია შესაძლებლობების განვითარებაზე, ურთიერთქმედებაზე და თავდაცვისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეფორმების მხარდაჭერაზე.

2002 წლის პრადის სამიტზე საქართველოს მირ პირველად იქნა გაჟღერებული ნატოში გაწევრიანების შესახებ სურვილი, ამი მიხედვით ზუსტად ამ პერიოდიდან იწყება ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების აქტიური სწრაფვა. უკვე 2004 წლისთვის საქართველომ მიიღო IPAP-ის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა და გახდა ნატოს ფარგლებში პირველი პარტნიორი ქვეყანა. შესამამისად საქართველომ ალიანსის წინაშე აიღო კონკრეტული ვალდებულებები, რომელსაც ითვალისწინებს სამოქმედო გეგმა.

2005 წელს ნატოს მიერ საქართველოში მოვლენიებულ იქნა მეკავშირე ოფიცერი, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა და შესაბამისად საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესის მხარდაჭერა. ხოლო უკვე 2010 წელს კი თბილისში გაიხსნა ნატოს სამეკავშირე ოფისი - NATO Liaison Office.

2006 წელს გაიმართა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალური შეხვედრა აშშ-ში ქალქა ნიუ-ორკში, სადაც ალიანსის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება საქართველოსთან დაეწყოს ინტენსიური დიალოგი. რომელიც ითვალისწინებდა კონსულტაციების გამართვას, კონფლიქტების მშვიდობით

მოგვარების, თავდაცვის სფეროში, პოლიტიკის, უსაფრთხოების საკითხების, სამოქალაქო თავდაცვის მიმართულებით საგანგებო დაგეგმვას, მეცნიერების, ეკონომიკის, განათლების სფეროს და ამავე დროს სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. მათ შორის მომდევნო წლებში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ტანამშრომლობის პროცესის განვითარება და ნატოს მხრიდან მხარდაჭერის პროცესი.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი თარიღია 2008 წელი როდესაც რუსეთმა განახორციელა სამხედრო აგრესია და დაიწყო აგვისტოს ომი. ეს მკაფიო სიგნალი გახდა ალიანსისთვის საქართველო-ნატოს პარტნიორობის გაფართოების და გააქტიურების მიმართულებით. რადგან რუსეთმა ნათლად დაანახა ყველას, რომ ის საკუთარი ინტერესების მისაზღვევად ყველანაირ ქმედებაზე წამსვლელი. შესაბამისად „საქართველოს მიერ ნატო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელების საფუძველზე, 2008 წელს ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება (Bucharest Summit Declaration), რომ „საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა“. აღნიშნული გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გზავნილს წარმოადგენს, რაც მრავალჯერ დადასტურდა ნატო-ს მომდევნო სამიტებზე.“³⁴ მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვაზე სტასბურგის / კელის სამიტზე (2009), ლისაბონის სამიტზე (2010), ჩიკაგოს სამიტზე (2012) და უელსის სამიტზე (2014). სწორედ ნატოს იყო ის ალიანსი რომელმაც მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველო 2008 წლის აგვისტოს ომისას და დაგმო რუსეთი აგრესიული ქმედებები და მოუწოდა ჯარის გაყვანისკენ საქართველოს ტერიტორიებიდან.

2008 წლის სექტემბერში შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია (NGC). NGC უზრუნველყოფს ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ჩარჩოებს და წარმოადგენს როგორც პოლიტიკურ, ასევე პრაქტიკულ თანამშრომლობის ფორუმს, რათა დაეხმაროს საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესში.

³⁴ „თანამშრომლობა ნატოსთან“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გვ.1.
<https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan> (ბოლო ნახვა - 14.05.2021)

2008 წლის დეკემბერში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა გადაწყვიტეს ნატო-საქართველოს ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავებით, რომელმაც IPAP-ი შეცვლა. პროგრამა ნატოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პრაქტიკული მექანიზმია, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანას დაეხმაროს ნატოს ურთიერთქმედების მიღწევაში. დოკუმენტი მოიცავს ზოგად საქმიანობას და კონკრეტულ ქმედებებს, რომლებიც განსახორციელებელია მთელი წლის განმავლობაში, ნატოს რეკომენდაციებისა და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად. დოკუმენტს ყოველწლიურად აფასებს ნატოს გუნდი. ამჟამად საქართველო ასრულებს წლიური ეროვნული პროგრამის VII ციკლს (2015 წლის მდგომარეობით). უნდა აღინიშნოს, რომ ANP-ის ყველა შეფასება, რომელიც ყოველწლიურია და ალიანსი ზედმიწევნით ყურადღებით ახორციელებს, პოზიტიური იყო.³⁵

2010 წლის აგვისტოში ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ (NAC) მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ საქართველოსთან პარტნიორობის ახალი ინსტრუმენტის - სამხედრო კომიტეტთან საქართველოს სამუშაო გეგმის (MC + GEO სამუშაო გეგმის) ინიცირებით, რომელიც შეიმუშავებს ყოველ ორ წელიწადში MC + GEO სამუშაო გეგმას და განსაზღვრავს ნატოსა და შეიარაღებულ ძალებს შორის სამხედრო თანამშრომლობის ძირითად სფეროებსა და მიზნებს, ასევე მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ANP და PARP დასახული მიზნების მიღწევას.

2010 წელს საჩხერის სამთო მომზადების სკოლამ მიიღო ნატოს / PfP სამთო მომზადებისა და განათლების ცენტრის სტატუსი. 2011 წლიდან სკოლა ატარებს საერთაშორისო საბაზისო და შუალედურ ზამთრის / ზაფხულის სამთო მომზადების კურსებს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებისთვის.

³⁵ „საქართველო და ნატო“, საქართველო და ნატო საინფორმაციო ცენტრი, გვ.1.
<https://old.infocenter.gov.ge/nato-georgia-history/#1> (ბოლო ნახვა - 10.06.2021)

2011 წელს ბრიუსელში ნატოს შტაბ ბინაში გაიმართა ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, სადაც საქართველო ფორმალურად მოხსენიებულ იქნა ასპირანტ სახელმწიფოდ, ბოსნიასთან, მონტენეგროს და ჰერცეგოვინასთან რომელიც ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაა მაკედონიასთან ერთად.

2013 წელს საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება მონაწილეობა მიეღო ნატოს სამეკავშირეო ძალების ინიციატივაში (CFI), რომლის მიზანია კიდევ უფრო გაზარდოს ნატოს ურთიერთქმედება. საქართველოს მსუბუქი ქვეითმა ასეულმა მიიღეს მონაწილეობა 2015 წლის ნატოს რეაგირების ძალებში (NRF). ამ მიზნით, 2014 წლის ზაფხულში ასეულმა წარმატებით გაიარა ნატოს შეფასების პროცესი და შემდგომ გაიარა სერტიფიკაციის პროცედურებს.

ნატოს სამხედრო კომიტეტმა, ნატოს უმაღლესმა სამხედრო ორგანომ, 2014 წლის 11-12 თებერვალს საქართველოში პირველად ჩაატარა ვიზიტი. ამ ვიზიტმა კომიტეტს შეუქმნა უნიკალური შესაძლებლობა, პირველად მიეღო შთაბეჭდილება საქართველოს თავდაცვის ამბიციური რეფორმების შესახებ, რაც შეფასდა პოზიტიურობით და შეაქო მისი მნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოებაში.

2014 წელს გამართულ ნატოს უაღესის სამიტზე საქართველო დასახელებულ იქნა ერთ-ერთ თავსებად პარტნიორად დანარჩენ ოთხ სახელმწიფოსთან ერთად ფინეთის, იორდანის, შვედეთის და ავსტრალიის. ამავე დროს ალიანსის გადაწყვეტილებით უაღესის სამიტზე ნატოს თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის (DCB) პროგრამის ეგიდით საქართველოს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (Substantial NATO-Georgia Package, SNGP) მონაწილე გახდა. „სამიტის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ ბუქარესტის 2008 წლის სამიტის შემდგომ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია და კიდევ უფრო დაუახლოვდა ნატოს. აღინიშნა, რომ ქვეყანას გააჩნია საჭირო მექანიზმები ალიანსში გასაწევრიანებლად. ნატომ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, მოუწოდა რუსეთის ფედერაციას უარი თქვას საქართველოს

რეგიონების, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე და საქართველოდან გაიყვანოს ჯარები.“³⁶ შესაბამისად უელსის სამიტზე მოკავშირეებმა მხარი დაუჭირეს ნატო-საქართველოს არსებით პაკეტს, რომელიც გააძლიერებს საქართველოს უსაფრთხოებას, ხელს შეუწყობს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას და კიდევ უფრო გაზრდის თანამშრომლობას ნატოსთან. ახალი ინიციატივის საფუძველზე საქართველოში გაიზრდება ნატოს ყოფნა, საქართველო უფრო ინტეგრირდება ნატო-ს სტრუქტურებში და უფრო ახლოს იქნება ნატოში ინტეგრაციის მიზანთან.

2016 წლის გაიმართა ნატოს ვარშავი სამიტი სადაც ალიანსმა გამოყო რამდენიმე საფრთხე, რომელიც დგას ალიანსის წევრი ქვეყნების წინაშე, მათ შორის ხაზი გაესვა შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხს. ვარშავი სამიტზე მოხდა ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) სხდომა საკმაოდ მაღალ დონეზე სადაც მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები. სამიტზე ითვა, რომ საქართველომ ყველა ის პრაქტიკული მექანიზმი რაც მას ევალედობა წევრობისთვის მოსამზადებლად კარგად შეასრულა. ალიანსის წევრებმა მოუწოდეს საქართველოს ეფექტურად გამოიყენოს ყველა არსებული ინსტრუმენტის გამოყენება რათა უფრო დაუახლოვდეს ალიანსს. მათ შორის სამიტზე განსაზღვრულ იქნა საქართველოსთვის დამატებითი პრაქტიკული ნაბიჯები ალიანსთან დაახლოების პროცესში.

2018 წლის ბრიუსელის სამიტზე საქართველომ ალიანსთან თანამშრომლობის პერიოდის განმავლობაში პირველად მიიღო მონაწილეობა სახელმწიფო მეთაურების და მთავრობის დონეზე მოკავშირეთა შეხვედრაში უკრაინასთან ერთად. ბრიუსელის სამიტზე მიღებულ იქნა ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაცია.

2019 წელს ალიანსის წევრი სახელმწიფოების მხრიდან რომელშიც მონაწილეობდნენ ქვეყნის მეთაურები, ნათქვამი იქნა, რომ ალიანსი რჩება ღია კარის პოლიტიკის ერთგული, ეს განცხადება მნიშვნელოვანი გზავნილი იყო საქართველოსთვის, ასევე ყურადღება იქნა გამახვილებული ალიანსის

³⁶ „2014 წლის უელსის სამიტი“, საქართველო და ნატოს აინფორმაციო ცენტრი, გვ.1. <http://old.infocenter.gov.ge/79-2014-tslis-uelsis-samiti.html> (ბოლო ნახვა- 18.06.2021)

გაფართოების პოლიტიკის ფარგლებში ნატოს და ვეროპის უსაფრთხოების საკითხებზე.

2021 წლის 14 ივნისს გამართულ ნატოს ბრიუსელის სამიტზე განხილულ იქნა საქართველოს საკითხიც. სამიტის ფარგლებში ალიანსის წევრმა სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ საქართველოს და უკრაინის სახით ნატოს მნიშვნელოვანი პარტნიორი ჰყვას შავი ზღვის რეგიონში. ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ „ჩვენ ვაძლიერებთ თანამშრომლობას საქართველოსა და უკრაინასთან. უკრაინას ვეხმარებით საზღვაო შესაძლებლობების განვითარებაში. ჩვენ ასევე ვმუშაობთ საქართველოსთან შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხზე“³⁷ შესაბამისად ნატოს მხარდაჭერა საკმაოდ მტკიცეა. ასევე, ალიანსმა განაცხადა ნატოს ღია კარის პოლიტიკისადმი მათი მხარდაჭერა, რაც აისახა სამიტის დეკლარაციაში.

ბრიუსელის სამიტზე ნატომ, ასევე ყურადღება გაამახვილა რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე საქართველოს და უკრაინის წინააღმდეგ. მათ შორის კიბერ თავდასხმებზე და ჰიბრიდულ თავდასხმებზე, რამაც ალიანსის წევრების თვქმით რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობები გაუარესა. ხაზე გაესვა ასევე სამიტის ფარგლებში ნატოს მზადყოფნას დიალოგისთვის.

შესაბამისად თუ იმას გავითვალისწინებთ, როგორ პოლიტიკას ატარებს რუსეთი საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნატოში გაწევრიანების პროცესი საკმაოდ რთულია და ამ სახელმწიფოებს საკმაოდ ბევრი დაბრკოლების და კრიზისის გადალახვა მოუწევთ ნატოში ინტეგრაციის გზაზე. მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალიანსის ღია მხარდაჭერის შედეგად საქართველო და უკრაინა გახდებიან ღირსეული პარტნიორები ალიანსის, გასაგებია არა ახლო პერსპექტივაში, თუმცა არც ეგ უნდა გამოვრიცხოთ ეს სახელმწიფოები იქნებიან ნატოს სრულ უფლებიანი წევრები. ნატოს წევრობა არ გულისხმობს მარტო იმას, რომ ალიანსის წევრებმა არ განავიტაროს საკუთარი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი არამედ

³⁷ „იენს სტოლტენბერგი: ნატოს შავ ზღვაში მნიშვნელოვანი პარტნიორები ჰყვას - საქართველო და უკრაინა“, 14 ივნისი 2021. გვ.1. <https://imedineews.ge/ge/msoflio/206054/iens-stoltenbergi-natos-shav-zgvashi-mnishvnelovani-partniorebi-hkavs--saqartvelo-da-ukraina> (ბოლო ნახვა - 18.06.2021)

საკუთარი კონტრიბუცია უნდა შეიტანონ ალიანსის უსაფრთხოების დაცვის და გაძლიერების საკითხში.

დასკვნა

ტერორიზმი საკმაოდ რთულ მოვლენას წარმოადგენს რომლის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთულია და ამავე დროს მოითხოვს საკმაოდ ბევრ ფინანსურ დანახარჯებს, ასევე დიდ დროს. ტერორიზმის აღმოფხვრის საკითხში საკმაოდ დიდი როლი უნდა დაეთმოს მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას და მათ შორის ტერორისტული აქტების მომწყობი პირების გამოვლენას და დასჯას.

პირველი კოხვის პასუხად თუ რა გავლენას ახდენს ახალი ტერორიზმი ნატოს უსაფრთხოების გარემოზე? შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია მისი გავლენა, რადგან ახალი ტერორიზმის პირობებში ტერორისტების მიერ ხდება სხვადასხვა საშუალებების და ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ართულებს მასთან ბრძოლას და ტერორისტების გამოვლენას. როგორც ნატოს ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და სხელმწიფოების უსაფრთხოების გარემოს საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის ახალი ტერორიზმი და გარკვეულწილად ასუსტებს, თუმცა ნატოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის საკმაოდ წარმატებით უმკლავდება ახალი ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეებს და გამოწვევებს. რაც ნამდვილად არაა მართი ამოცანა ალიანსის წევრი სახელმწიფოებისთვის, მაგრამ ერთიანი ძალისხმევა და ღია პოლიტიკა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში ზრდის მის ეფექტურობას. რაც

გამოიხატება თუნდაც დაიშის დამარცხებაში კოალიციური ძალების მიერ, თუმცა ისლამური სახელმწიფო ბოლომდე არაა დამარცხებული, რაც უფრო მეტ ძალისხმევას და საერთაშორისო ძალისხმევას მოითხოვს არამარტო ნატოს მხრიდან არამედ დანარჩენი მსოფლიოსგანაც.

კვლევის შედეგად მეორე კითხვის პასუხად თუ რა მიდგომები და ინსტრუმენტები გააჩნია ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს ახალი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი კონტრტერორისტული სტრატეგია და ის მიდგომები რაც მას გააჩნია საკმაოდ ეფექტურია და ეხმარება ალიანსს ახალი ტერორიზმისაგან მომდინარე საფრთხეები გამკლავებაში. მნიშვნელოვანია ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში ალიანსის თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფოებთან და პარტნიორებთან რომლებთანაც ერთად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ინფორმაციის გაცვლის და ტერორისტების გამოვლენის და განეიტრალების საქმეში. ნატოს ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციასთან ტერორიზმის დასამარცხებლად. ალიანსის წევრებს საკმაოდ კარგად ესმით, რომ თუ არ მოხდება ხისტი პოლიტიკის გატარება იმ სახელმწიფოების მიმართ რომლებიც ეხმარებიან ტერორისტებს ან და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი თანამშრომლობენ ტერორისტებთან უნდა მოხდეს ამ სახელმწიფოების დასჯა სხვადასხვა საშუალებებით.

მესამე კითხვის პასუხად თუ რამდენად შეუძლია ნატოს დაიცვას ახალი ტერორიზმისაგან ალიანსის უსაფრთხოება? პასუხი საკმაოდ მყარია, ნატოს იცავს ალიანსის წევრ სახელმწიფოებს ახალი ტერორიზმისაგან მომდინარე საფრთხეებისგან და კიდევ უფრო მეტად აძლიერებს უსაფრთხოების და დაცულობის განზომილებას ალიანსისას. ნატოს გააჩნია ყველა მექანიზმი რათა არამარტო ალიანსის შიგნით უზრუნველყოფს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არამედ გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში უზრუნველყოს ახალ ტერორიზმთან ბრძოლა.

კვლევის შედეგად, რომ შევაჯამოთ ნატოს პოლიტიკა და მიდგომები ახალი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში შეგვიძლია ვთქვათ, რომ

ალიანსს თანამედროვე პერიოდში შესწევს იმის ძალა და უნდარი, რომ გაუმკლავდეს ახალი ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეებს. ახალი ტერორიზმი საკმაოდ რთულ მოვლენას წარმადგენს რმლიც გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდა თუმცა ეს არ ნიშნავს იმსა, რომ მისი დამარცხება შეუძლებელია. ნატოს ფარგლებში საერთაშორისო კოალიციური ძალებისთვის მნიშვნელოვანია ურთიერთ თანამშრომობა, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში. რომლის ნათელი მაგალითია დაიშის ტერორისტული ორგანიზაცია, სირიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე ასადის მთვარობის მიერ მარტო დაიშის დამარცხება შეუძლებელი იყო. მაშინ როდესაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ შეძლო კვაზი სახელმწიფოს ფორმირება და ნელნელა სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების დანერგვის პროცესს ეწეოდა.

თანამედროვე პერიოდში ნატოს გააჩნია საკმარისი პოლიტიკური ბერკეტები ახალი ტერორიზმის წინააღმდეგ რეაგირების და მასთან ბრძოლის საქმეში, რაც მნიშვნელოვანია არამერტო ალიანსის წევრი სახელმწიფოებისთვის არამედ სხვა საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციების წამორმადგენელი სახელმწიფოებისთვის, რაც მთვარია ასევე სხვადასხვა ქვეყნებისთვის. ტერორიზმის გაფართოება იწვევს ახალ საერთაშორისო რისკებს და როგორცაა მიგრაციული პროცესი რომლის ნათელი მაგალითია ევროკავშირში მიმდინარე საიმიგრაციო პოლიტიკა. რომლითაც ევროკავშირის სახელმწიფოები ზარალდებიან რადგან შეუძლებელია იმ ნაკადის გაკონტროლება რომელიც უკანონოდ შემოედინება და რაც მთვარია განსაზღვრა იმ მიგრანტებისგან თუ რეალურდა ხომ არ არის ვინმე ტერორისტი. შესაბამისად ახალი ტერორიზმი ყველა შესაძლო საშუალება და ბერკეტს იყენებს თავისი მიზნის მისაღწევად. ზუსტად ამიტომაც იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მის წინააღმდეგ ბრძოლა და დამარცხება.

ბიბლიოგრაფია

1. ბატიაშვილი ზ., „ჯიჰადისტური საფრთხეების ტრანსფორმაცია“ უსაფრთხოების მიმოხილვა, „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი“, თბილისი - 2018.
2. ბატიაშვილი ზ., „პოსტ ISIS პერიოდი, საფრთხეები და გამოწვევები გლობალურ და ლოკალურ დონეებზე“ უსაფრთხოების მიმოხილვა, „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი“, თბილისი -2019.
3. კუხალაშვილი დ., „ტერორისტული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა“, თბილისი -2007 .
4. მალრაძე გ., მაისაია ვ., „21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, „უნივერსალი“, თბილისი, 2017.
5. მაისაია ვ. ოზოლაძე ბ., ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი XXI საუკუნეში, თბილისი - 2009.
6. სუჯაშვილი დ., „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი-2018.

7. ჩიტაძე ჩ. „ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, გამოიცა პროექტის „ნატოს სწავლების“ ფარგლებში, თბილის - 2008.
8. ჩქოფია ს., „საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები“, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი - 2017.
9. ვარდოსანიძე ს., ტერორისტული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა, თბილისი - 2007.
10. ქელდიშვილი გ., „ტერორიზმი და ტერორისტული აქტები“, თბილისი - 2015.
11. ჰელმუტ ვ. განსერი, ვულფ ლაპინსი, დეტლევ ფული. „რა დარჩა დასავლეთისგან? – Quo Vadis NATO?“, თბილისი-2018.
12. Adam Zeidan, „ SIL outside of Iraq and Syria“, 2019. P.1. <https://www.britannica.com/topic/Islamic-State-in-Iraq-and-the-Levant/ISIL-outside-of-Iraq-and-Syria> (ბოლო ნახვა- 16.06.2021)
13. A Review of ISIS in Syria 2016-2019, Regional Differences and an Enduring Legacy, The Carter Center Syria Project, March – 2019.
14. Corrado, R., Wössner, G., Merari, A., „Terrorism Risk Assessment Instruments“, March 2021.
15. Edwards, Frances L., Steinhäusler, Friedrich., „NATO And Terrorism“, On Scene: New Challenges for First Responders and Civil Protection. 2007.
16. Katarzyna Jasko, Arie W Kruglanski, „ISIS: Its History, Ideology, and Psychology“, April 2018. Pp2-4.
17. Naval Postgraduate School, Albanian- NATO Relations in the Fight Against International Terrorism Paperback – June 3, 2014.
18. Vermetten, E., Frankova, I., Carmi, L., Chaban, O., Zohar, J., „Risk Management of Terrorism Induced Stress“, February 2020.
19. Chris Jan Geugies, Bachelor thesis in completion of the bachelor public administration at the faculty Management and Governance of the University of Twente. Title: The Origins of Terrorism: a comparison between the international anti-terrorism strategies of the USA and the Netherlands. September 2007.

20. Speckhard A., Yayla S.A. The ISIS Emni: The Inner Working and origins of ISIS's Intelligence Apparatus. Research paper. International Center for the study of Violent Extremism. December 3, 2016.

ინტერნეტ რესურსები:

21. ახალაია ლ., „ჯეიმს აპატურაი - ნატო აფასებს საქართველოს როგორც პარტნიორს, ყოველთვის მზად ვიქნებით, საქართველო ჩვენს მისიებში იყოს წარმოდგენილი“, თბილისი- 08.06.2021. <https://1tv.ge/news/jeims-apaturai-nato-afasebs-saqartvelos-rogorc-partniors-yoveltvis-mzad-viqnebit-saqartvelo-chvens-misiebshi-iyos-warmodgenili/> (ბოლო ნახვა - 14.06.2021)
22. „ასიმეტრიული ომი, ქათული სამხედრო ანალიტიკური პორტალი“. 6.04.2015. <https://gmas.ge/2015/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97/> (ბოლო ნახვა - 25.05.2021)
23. „თანამშრომლობა ნატოსთან“, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გვ.1. <https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan> (ბოლო ნახვა - 14.05.2021)
24. „იენს სტოლტენბერგი: ნატოს შავ ზღვაში მნიშვნელოვანი პარტნიორები ჰყავს - საქართველო და უკრაინა“, 14 ივნისი 2021. გვ.1. <https://imedineews.ge/ge/msofli/206054/iens-stoltenbergi-natos-shav-zgvashi-mnishvnelovani-partniorebi-hkavs--saqartvelo-da-ukraina> (ბოლო ნახვა - 18.06.2021)
25. მალხაზიშვილი დ., „ტერორიზმის საფრთხე მსოფლიოსთვის“, თბილისი - 2006. გვ.1. <http://www.aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=3&mas=1559> (ბოლო ნახვა - 15.05.2021)
26. „საქართველო და ნატო“, საქართველო და ნატო საინფორმაციო ცენტრი, გვ.1. <https://old.infocenter.gov.ge/nato-georgia-history/#1> (ბოლო ნახვა - 10.06.2021)
27. „ტერორიზმთან ბრძოლა“, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, გვ.1. <https://ssg.gov.ge/page/counter-terrorism> (ბოლო ნახვა - 12.06.2021)
28. „2014 წლის უელსის სამიტი“, საქართველო და ნატოს აინფორმაციო ცენტრი, გვ.1. <http://old.infocenter.gov.ge/79-2014-tslis-uelsis-samiti.html> (ბოლო ნახვა - 18.06.2021)
29. Countering terrorism, North Atlantic Treaty Organization, p.1. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77646.htm (ბოლო ნახვა - 22.06.2021)
30. Definition, History, and Types of Terrorism, 2020. P.1. <https://ekuonline.eku.edu/homeland-security/definition-history-and-types-terrorism> (ბოლო ნახვა - 3.06.2021)

31. John Philip Jenkins, „Types of terrorism“, Britannica 2021. P.1.
<https://www.britannica.com/topic/terrorism/Types-of-terrorism> (ბოლო ნახვა -
3.06.2021)